გაბრიჭიძე თინათინი

გამოძიების სტადიაზე, მოწმის გამოკითხვა დაკითხვის აქტუალური პრობლემები

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2020 წელი

საავტორო უფლება © 2020 წელი, გაბრიჭიძე თინათინი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: _____

თარიღი :

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი გაბრიჭიძე თინათინის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: გამოძიების სტადიაზე, მოწმის გამოკითხვა დაკითხვის აქტუალური პრობლემები და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ზესიკ მეურმიშვილი

თანახელმძღვანელი:

თარიღი :2021 წლის ივნისი

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. სისხლისსამართლის პროცესში, მოწმის გამოკითხვის და დაკითხვის ზოგადი დებულებები

1.მოწმის ცნება, როლი და მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში.....7

2. გამოკითხვის ცნება და საფუძვლები.....9

3.გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვის არსი და მიზნები.....14

3.1.გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვის საფუძველი.....15

4.დაკითხვა/გამოკითხვის გამიჯვნა.....25

თავი II. მოწმის დაკითხვის სპეციფიკა საქართველოში გამოძიების სტადიაზე

1.საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც განიცადა მოწმის დაკითხვის წესმა.....26

2.გამოძიების სტადიაზე მოწმის გამოკითხვა/დაკითხვის მარეგულირებელი ნორმების ხარვეზები.....30

თავი III. მოწმის ჩვენების ფსიქო-სოციალური ასპექტები -

1.მოწმის ჩვენების ფორმირების ფსიქოლოგიური ასპექტები

1.1. მოწმის მიერ ფაქტებისა და გარემოებების სუბიექტური აღქმა.....35

1.2 ფაქტებისა და გარემოებების დამახსოვრების თავისებურებები 42

1.3. მოწმის მიერ ფაქტების და გარემოებების გადმოცემა.....49

თავი IV. გამოძიების ეტაპზე მოწმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების შედარებით სამართლებრივი ანალიზი

1.1.მოწმის დაკითხვა ამერიკის შეერთებულ შტატებში.....50

1.2.მოწმის დაკითხვის თავისებურებები ევროპის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით.....52

1.2.1 მოწმეთა დაკითხვის თავისებურებები ინგლისისა და უელსის კანონმდებლობის მიხედვით.....52

1.2.2 მოწმეთა უდაკითხვის თავისებურებები ჰოლანდიაში.....54

1.2.3 მოწმეთა დაკითხვის თავისებურებები გერმანიაში.....55

1.2.4 მოწმეთა დაკითხვის თავისებურებები საფრანგეთში 57

1.3 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არსებული გარემოებები 59

დასკვნა.....60

ბიბლიოგრაფია…….. 70

ანოტაცია

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება მოწმის გამოკითხვა/დაკითხვის საკანონმდებლო ცვლილებებს და მის ხარვეზებს, ნაშრომში მიმოხილულია მოწმის დაკითხვის არსი და მნიშვნელობა, მასში განხილულია მოწმის ცნება, როლი, მნიშვნელობა და სტატუსი, სისხლის სამართალწარმოებაში, მოწმის უფლებები და მოვალეობები, მოწმის ჩვენების ფსიქოლოგიური ასპექტები, განხილულია მოწმის დაკითხვის ძირითადი ასპექტები სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას, მოყვანილია შედარებითი სამართლებრივი ანალიზი.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებული იქნება კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებსა და მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით არსებულ აქტუალურ საკითხებზე, რომელიც იქმნება პრაქტიკაში, გაცემულია რეკომენდაციები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის შემდგომი სრულყოფისათვის.

Abstract

The presented master's thesis is dedicated to iterrogation of a witness,legislative changes gaps, The paper discusses the essence and significance of questioning a witness,such as witness testimony,witness status, role and significance criminal proceedings,witness permissions and actings, psychological aspects of witness testimony, a relatively legal analysis is given.

The paper focuses on gaps in the legislation regarding the questioning of witnesses and witnesses that arises in practice, provides recommendations that can be used to further improve the criminal procedure law

შესავალი

თემის აქტუალურობა: სისხლის სამართლის პროცესში უაღრესად მნიშვნელოვან ადგილს მტკიცებულებები იკავებს. მოწმის ჩვენება კი მტკიცებულებებს შორის ერთ-ერთი უპირატესი მნიშვნელობისაა. სასამართლო გადაწყვეტილებებზე, ხშირ შემთხვევაში, მოწმის ჩვენება გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს. აღნიშნული საკითხი თანამედროვე

სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უთუოდ უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. თავის მხრივ, მტკიცებულებებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ მოწმის ჩვენება. სისხლის სამართლის საქმის საბოლოო შედეგი ხშირად სწორედ მოწმის ჩვენებაზეა ხოლმე დამოკიდებული. ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი და იურისტი ჯერემი ბენთამი აღნიშნავდა, რომ მოწმის ჩვენებას სასწაულმოქმედი ძალა აქვს, რადგან მას შეუძლია სრულად გადაწყვიტოს სისხლის სამართლის საქმის საბოლოო ბედი. ცნობილი ინგლისელი იურისტი და ფილოსოფოსი, ჯერემი ბენტამის აზრით, „მოწმე - ეს არის მართლმსაჯულების ყური და თვალი. მოწმის ჩვენებას აქვს მაგიური ძალა, რომელსაც შეუძლია საქმის მთლიანი მსვლელობა შეცვალოს“.[1] საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანხმად, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. ამ მტკიცებულებათაგან კი წამყვანი ადგილი უკავია მოწმის ჩვენებას. მოწმეს და მის მიერ მიცემულ ჩვენებას სისხლის სამართლის პროცესში შეუცვლელი ადგილი უკავია. შესაბამისად, მოწმის სტატუსზე და მის დაკითხვაზე/გამოკითხვაზე მსჯელობა მუდმივად ინარჩუნებდა და ინარჩუებს აქტუალობას;

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას, მოწმის როლისა და მნიშვნელობის გამოკვეთა, იმ პრობლემების წარმოჩენა, რაც ახლავს მოწმის დაკითხვას როგორც გამოძიების, ასევე სასამართლო განხილვის სტადიაზე. გამოიკვეთოს, თუ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია მოწმის დაკითხვის ძველ და მოქმედ წესებს. აგრეთვე მოძიებულ იქნას გზები,სადაც იქნება ოქროს შუალედი რომ არ შეილახოს როგორც სისხლის სამართლის პროცესის ფუნდამენტალურ პრინციპები ასევე არ შეფერხდეს სახელწმიფო ორგანოთა მუშაობის ეფექტურობა და ნორმალურ ფუნქციონირება. მოხდეს იმ ნორმათა ინტერპრეტაცია, რომლებსაც შეეხო ცვლილებები მოწმის გამოკითხვა/დაკითხვის წესთან დაკავშირებით, განვიხილო და შევაფასო განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზნების მისაღწევად გამოყენებულ იქნა ნორმატიული მასალა, ისტორიული, ფორმურ-ლოგიკური, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, სასამართლო პრაქტიკა და სხვა მეთოდები.

[1] დარასელია ნ., მოწმის სამართლებრივი სტატუსი სისხლისსამართალწარმოებაში, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2020

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა ნაშრომის სტრუქტურა შედგება შესავალის, დასკვნისა. ხუთი თავისაგან და გამოყენებული ლიტერატურისაგან. ნაშრომის მოცულობა შეადგენს ..... გვერდს.

თავი I. სისხლისსამართლის პროცესში, მოწმის გამოკკითხვის და დაკითხვის ზოგადი დებულებები

1. მოწმის ცნება, როლი და მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში

მოწმე და მოწმის ჩვენება, ყველა დროსა და საზოგადოებაში, ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი მტკიცებულება გახლდათ. ვახტან VI-ს სამართლის წიგნში გვხვდება შემდეგი სახის ჩანაწერი: ,,მოსამართლე უნდა იყოს მოწმის მაძებარი და მისი მეშვეობით უნდა ეცადოს სამართლის დადგენას და არა ფიცის საშუალებით.''[2] სისხლის სამართლის პროცესში განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცებულებებს, რომლებიც არსებითად წყვეტენ სისხლის სამართლის საქმის ბედს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის თანახმად, მოწმე ეს არის პირი, რომელმაც შესაძლოა იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაცია. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და შესაბამისი ფიცის დადების შემდეგ. გამოძიების ეტაპზე, მოწმეების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხდება მტკიცებულებების ნაწილი. მტკიცებულებებით განისაზღვრება ჩაიდინა თუარა ბრალდებულმა დანაშაული. თვითმხილველი მოწმეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, მოწმე არის პირი, რომელმაც დაინახა დანაშაულის ფაქტი ან თვითინ იყო დანაშაულის მსხვერპლი. ინფორმაცია, რომელსაც გვაძლევს მოწმე, ეწოდება ჩვენება და გამოიყენება როგორც მტკიცებულება , სავარაუდო დანაშაულის ფაქტის დასადგენად.მოწმეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სისხლის სამართლის საქმეებში. ისინი ხელს უწყობენ იმის გარკვევას, თუ რა მოხდა სინამდვილეში.

სისხლის სამართლის საქმეში არსებობს ორი სახის მოწმე: სტანდარტული მოწმეები და ექსპერტები. სტანდარტული მოწმე არის ის, ვინც პირადად დაინახა ან გაიგო რამე დანაშაულის ფაქტის შესახებ. სტანდარტული, მოწმე ასევე შეიძლება იყოს პოლიციელი, რომელმაც დააკავა პირი ან რომელიც იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე. სტანდარტულმა მოწმეებმა უნდა უპასუხონ ადვოკატის, პროკურორის შეკითხვებს და მოსამართლეს უთხრან რა ნახეს ან

[2] ჯავახიშვილი ი. 1928. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისის უნივრსიტეტის გამოცემა, ტფილისი, გვ. 86-88

მოისმინეს. ისინი არ გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს მომხდარის შესახებ. ექსპერტი მოწმე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ექსპერტი სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე პირია, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში. ექსპერტი მოწმე შეიძლება იყოს ექიმი, ფსიქოლოგი, ბუღალტერი და ა.შ. ექსპერტი მოწმეები განმარტავენ საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტებს და გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს (მაგალითად, მოსაზრება, ბრალდებულის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, დანაშაულის ჩადენისას).

სისხლის სამართლის პროცესის თითოეული ეტაპის წარმატებით დასრულება ხშირად დამოკიდებულია მოწმეების თანამშრომლობაზე საგამოძიებო ორგანოებთან. ამიტომ მოწმის პოზიცია არსებითად მნიშვნელოვანია ნებისმიერი თანამედროვე სისხლის სამართლის სისტემაში, რადგან საკმარისი ფიზიკური მტკიცებულებები ყოველთვის არ მოიძებნება.მოწმე არის მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. დანაშაულის ბრალდებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების მიცემით, მოწმე ასრულებს წმინდა მოვალეობას, დაეხმაროს სასამართლოს სიმართლის დადგენაში. ეს არის მიზეზი, რის გამოც ჩვენების მიცემამდე იგი ან ფიცს დებს ღმერთის სახელით ან საზეიმოდ ამტკიცებს, რომ ის იტყვის სიმართლეს, მთელ სიმართლეს და სიმართლის გარდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მოწმემ შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად მნიშვნელოვანი ინფორმაცია. პირის მოწმის სტატუსისა და უფლებამოვალეობების შეძენის აუცილებელი წინაპირობაა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილება და ფიცის დადება. სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვან მტკიცებულებას მოწმის ჩვენება წარმოადგენს. სასამართლო გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი სწორედ მოწმის ჩვენებებს ეფუძნება. მოწმეთა ჩვენების მნიშვნელობას აღნიშნავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის განმარტებითაც „მოწმის ჩვენება შეიძლება იყოს ინფორმაციის ერთ-ერთი, ზოგჯერ კი ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო.“ [3]

[3] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით, ამერიკის იურისტთ ასოციაცია, კანონის უზენაესობის

სისხლის სამართლის მოქმედი საპროცესი კოდექსი, ითვალისწინებს მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მოწმის სავალდებულო წესით დაკითხვის შესაძლებლობას მაგისტრანტ მოსამართლესთა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონი ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს მოწმის უნარებთან დაკავშირებით. სასამართლოში პირი არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ, თუ მას ფიზიკური ან/და ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით „მოწმის ვარგისიანობა“ არ არის დამოკიდებული პირის ასაკზე, სასამართლოში შესაძლებელია დაიკითხოს არასრულწლოვანი პირიც, თუ მას შეუძლიას სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. აგრეთვე, შესაძლებელია ყრუ-მუნჯის მოწმედ გამოძახება, რომელსაც აქვს უნარი, თარჯიმნის მეშვეობით ყრუ-მუნჯთა ნიშნებით მისცეს სასამართლოში ჩვენება. პირისათვის მოწმის სტატუსის მინიჭება დამოკიდებულია ფორმალურ წინაპირობაზე, რაც გამოიხატება მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებასა და მისთვის ფიცის დადებაში. პირი მოწმის უფლება-მოვალეობებს იძენს მოსამართლის მიერ სათანადო წესით ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის გაფრთხილების, ასევე ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე და იგი დადებს რელიგიურ ან არარელიგიურ ფიცს, ან განახორციელებს ფიცის შემცვლელ დადასტურებას.

2. გამოკითხვის ცნება და საფუძვლები

გამოკითხვა, მეტწილად, ნებაყოფლობითი აქტია და ის ტარდება გამოძიების ეტაპზე. ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს, გამოკითხოს ესა თუ ის პირი და მიიღოს მისგან საქმის გარემოებებისათვის მნიშვნელოანი ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ პირი დათანხმდა გამოკითხვაზე, მაშინ ის ვალდებულია, სწორი ინფორმაცია მიაწოდოს გამოკითხვის ჩამტარებელ მხარეს საქმის არსებით გარემოებებთან დაკავშირებით. საპროცესო კოდექსი ასევე უშვებს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი პირის შესაბამისი ელექტრონული საშუალებებით გამოკითხვის შესაძლებლობას. გამოკითხვის შესახებ დგება ოქმი.[4]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე

ინიციატიავა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015, გვ. 206

[4]დიასამიძე ფ. ჟურნალი ,, სამართალი და მსოფლიო'' 2019 წლის დეკემბერი,N13. გვ. N162;

მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გამოსაკითხი პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლოა ფლობდეს სავარაუდო დანაშაულთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციას. საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, გამოკითხვის ეტაპზე მოწმის ურთიერთობა საგამოძიებო ორგანოებთან ნებაყოფლობითი გახდა და გამოსაკითხ პირს მიანიჭა უფლება დათანხმდეს გამოკითხვას ან არ მიაწოდოს ინფორმაცია გამომძიებელს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რაც მისთვისაა ცნობილი. პირის გამოკითხვა წარმოებს გასაუბრების ფორმით. გამოძიების ეტაპზე, მხარეებს უფლება აქვთ გამოკითხონ ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლოა ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. გამოკითხვის ოქმი ხდება საფუძველი, რომ გამოკითხული პირი დაკითხულ იქნეს მოწმის სახით მოსამართლის წინაშე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლით გათვალისწინებულია მოწმეთა გამოკითხვის პროცედურები. კერძოდ, პირს, რომელსაც შესაძლოა რაიმე სახის ინფორმაციას ფლობს, მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით, გამოკითხვის ჩამტარებელი უფლებამოსილი პირი სთავაზობს ნებაყოფლობით მისცეს ინფორმაცია შესაბამის გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებით. საპროცესო კოდექსის შესაბამისად, გამოკითხვის წარმოება ფიქსირდება გამოკითხვის ოქმში. ოქმის შედგენა სავალდებულოა გამოკითხვის ჩატარების შემთხვევაში. გამოკითხვის მიზანია, გამომკითხავმა მხარემ მიიღოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც იგი მომავალში მისი პოზიციის დამადასტურებელ მტიცებულებად გამოიყენებს და მის საფუძველზე ან გარეშე მოიპოვებს სხვა მტკიცბულებებს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, 114-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარის შუამდგომლობით, გამოძიების ადგილის ან/და მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით, მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება ასევე დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი, ან/და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს. ამავე უფლებით სარგებლობს დაცვის მხარე ამ კოდექსით დადგენილი წესით. გამოკითხვის ძირითად მიზანს წარმოადგენს ზუსტი, სარწმუნო და ყოვლისმომცველი ინფორმაციის მოძიება, რომელიც ხელს შეუწყობს რეალური დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას, არსებობს გარემოებები როდესაც დაუყოვნებლივი გამოკითხვა კრიტიკულად მნიშვნელივანია, მაგალითად, როდესაც ადამიანის სიცოცხლე ან ქონება საფრთხეშია, ან არსებობს რისკი, რომ შეიძლება მტკიცებულებები განადგურდეს, ან დამნაშავეები მიიმალონ.

სამართალდამცავი პირი უფლებამოსილია, არსებობს ვარაუდი, რომ პირს აქვს ინფორმაცია, შესაძლო სამართალდარღვევის განხორციელების შესახებ. „საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის“ არ არის ზოგადი ცნება, იგი გულისხმობს იმ ფაქტის ან ინფორმაციის არსებობას, რომლის არსებობაც საკმარისი იქნებოდა გადაწყვეტილების მისაღებად ობიექტური დამკვირვებელისთვის (სასამართლოსთვის). პირის მიერ ინფორმაციის მიწოდება ნებაყოფლობითია და მას უნდა განემარტოს ამის შესახებ, ხოლო 14 წლამდე ასაკის პირის მიმართ ამ ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით. თუკი გამომძიებელს, პროკურორს აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა მომხდარი დანაშაულის შესახებ იცის მნიშვნელოვანი გარემოებები და უარს აცხადებს გამოკითხვაზე, იგი შეიძლება დაიკითხოს მაგისტრატი მოსამართლეს წინაშე სასამართლოში, რა დროიდანაც გამოსაკითხი პირი უკვე იძენს მოწმის სტატუსს და მას ეკისრება ვალდებულება სასამართლოში გამოცხადების და ჩვენების მიცემის. მოწმის მოწვევის მიზანს წარმოადგენს გამოსაძიებელ ან/და განსახილველ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება. გამოკითხვა ეს კომუნიკაციის პროცესია, რომლის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიღება სისხლის სამართლის საქმისათვის კონკრეტულ ფაქტებზე, რაც გამოსაკითხ პირს გააჩნია. ხშირ შემთხვევაში გამოკითხვა არის ინფორმაციის მიღების უმნიშვნელოვანესი წყარო. თუმცა ხშირად არის შემთხვევები, როდესაც ეს პირები ინფორმაციას არ გასცემენ და არ თანამშრომლობენ გამოძიებასთან. მაგალითად, მკვლელობების, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, როდესაც თითოეულ დეტალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამოძიების სწორად წარმართვისათვის და სახეზე გვყავს თვითმხილველი პირები, ფაქტების დადასტურებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გამოსაკითხი პირის მიერ გაცემული ინფორმაცია მნიშვნელოვანია წარმატებული გამოძიებისთვის და დანაშაულის გახსნისთვის. თუ პირი დუმს და არაფერს ამბობს, რა თქმა უნდა, ვითარება გამოძიებ¬ის კუთხით უფრო რთულდება. გამოკითხვა, ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს დაკითხვას, გამოკითხვის დროს გამომძიებელმა უნდა გამოიკვლიოს გამოსაკითხი პირის გამოსაკითხი პირის პიროვნება.[5] გამოკითხვა არ არის იძულებითი პროცესი,იგი თავისუფალ საუბარს ჰგავს, რომლის დროსაც გამომძიებელი აკვირდება ეჭვმიტანილის ვერბალურ და არავერბარულ ქცევას, ამყარებს მასთან ფსიქოლოგიურ კონტაქტს და წყვეტს, თუ

[5] ხუციშვილი ხ, გამოძიებისას მოწმის გამოკითხვისა და დაკითხვის ახალი წესი - საკანონმდებლო ცვლილებები სისხლის სამართალის პროცესში, გვ.13, გორი, 2019

როგორი მეთოდით უნდა დაკითხოს კონკრეტული პიროვნება (თუკი ეჭვი გაჩნდება რომ პიროვნება შესაძლოა დაკავშირებული იყოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან) ან მიიღონ ახალი ინფორმაცია საქმის გარემოებებთან დაკავშირებით.[6] გამოკითხვის წარმოებისას კანონმდებლი მთელ რიგ წესებს ადგენს, რაც გარკვეულწილად გამოკითხვას გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს, რის დარღვევამაც, შესაძლებელია გავლენა იქონიოს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოპოვებულ მტკიცებულებათა ბედზე.საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, გამოკითხვისას გამოსაკითხი პირი სარგებლობს მთელი რიგი უფლებებით. გამოკითხვის მწარმოებელ მხარეს კი ევალება, გამოსაკითხ პირს გააცნოს საპროცესო კოდექსით გარანტირებული მისი უფლებები. კანონი კატეგორიულად კრძალავს მტკიცებულების წარდგენის ან ინფორმაციის გაცემის იძულებას გამოკითხვის უფლება გააჩნია მხოლოდ მხარეს. მხარემ გამოკითხვის დაწყებამდე გამოსაკითხ პირს უნდა აცნობოს, რომ მას აქვს: 1. გამოკითხვის დაწყებამდე მისი უფლებების შესახებ განმარტების მიღების უფლება; 2. ინფორმაციის ნებაყოფლობით გაცემის უფლება; 3. საკუთარი ხარჯით ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება; 4. უფლება თავის წინააღმდეგ (თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლება) ან/და ახლო ნათესავის წინააღმდეგ არ გასცეს ინფორმაცია. ბ. გამოსაკითხ პირთა წრე გამოსაკითხი პირები, შესაძლებელია, ორ ჯგუფად დაიყოს: ა. ეჭვქვეშ მყოფი პირები; ბ. პირები, რომლებიც ეჭვქვეშ არ იმყოფებიან და მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ. კანონი არ გამორიცხავს, გამოსაკითხ [7]პირთა შორის იყოს ეჭვმიტანილიც. სასამართლოზე მოულოდნელი ,,სიურპრიზების'' თავიდან ასაცილებლად და იმის დასადგენად პოტენციური მოწმეებისგან ვინ ფლობს საქმისათვის ღირებულ ინფორმაციას, საგამოძიებო ორგანოებს არ გააჩნიათ არანაირი ბერკეტი, კანონის ძალით აიძულოს გამოსაკითხი პირი მისცეს ინფორმაცია დანაშაულის ფაქტის გარშემო რომელსაც იგი ფლობს. გამოკითხვა წარმოადგენს მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებას. იგი არის ინფორმაციის მოპოვება შეკითხვების დასმის მეშვეობით. გამოსაკითხ პირთა წრე ორ ჯგუფად იყოფა: ა. პირები, რომელთა მიმართ არსებობს დაბალი ხარისხის ეჭვი დანაშაულის ჩადენაში და ბ. პირები, რომელთა მიმართ არ არსებობს ეჭვი, მათ მიერ დანაშაულის ჩადენაში და რომლებიც ამავდროულად მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ. გამოსაკითხ პირთა შორის შესაძლებელია მოექცნენ ეჭვმიტანილი პირებიც. კანონმდებელი, სავალდებულოდ ითხოვს გამოკითხვის

[6] დეკანოზიშვილი.გ. დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლის სამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში; გვ 175. თბილისი/2010.

[7] იხ:ლალიაშვილი თ; ჟურნალი სამართალი და მსოფლიო; გამომცემლობა,თბილისი, #4. 2016; გვ 54

წარმოებისას ოქმის შედგენას და მას არსებით მნიშვნელობას ანიჭებს. გამოძიების პროცესში პირის გამოკითხვა საქმისათვის არსებითად მნიშვნელოვანია იმ გაგებით, რომ მის მიერ მიცემული ინფორმაცია გამოსაძიებელ საქმეს გარკვეული მიმართულებით წარმართავს, ამიტომაც აფრთხილებენ გამოსაკითხ პირს ცრუ ინფორმაციისთვის და აკისრებენ პასუხისმგებლობას. დაუშვებელია, გამოსაკითხი პირი აიძულონ, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია.გამოძიების ეტაპზე საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს პირის გამოკითხვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის შესაბამისად შესაძლებელია გამოძიების ეტაპზე გამოიკითხოს ის პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენი თვითმხილველია, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ სარგებლობს მოწმის სტატუსით. რადგა გამოკითხვა არაპროცესუალური წესით ხდება, გამოკითხულ პირს არ აფრთხილებე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, იგი არც ფიცს დებს, თუმცაღა, ეს სრულებით არ არის მხარეების მიერ მოწმის გამოკითხვის წინაღობა.[8] გამოსაკითხი პირები ორ ჯგუფად იყოფა: ა) პირები, რომელთა მიმართ არსებობს მათ მიერ დანაშაულის ჩადენის ეჭვი, მაგრამ არ არსებობს ბრალის წაყენებისათვის საკმარისი მტკიცებულებები, ამ შემთხვევაში გამოკითხვის მიზანია, გადამოწმდეს ეჭვის საფუძვლიანობა (მაგ.: პირების გამოკითხვისას შესაძლებელია გამომჟღავნდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც საფუძვლად დაედება მათ ბრალდებას); ბ) პირები, რომლებიც ფლობენ საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას მაგალითად,დაზარალებული,თვითმხელველი მოწმე, გამოკითხვის წარმოების უფლება აქვთ მხარეებს. გამოკითხვის დაწყებამდე პირს უნდა განემარტოს მისი უფლებები (მათ შორის,უარის თქმის და ადვოკატის ყოლის უფლება) და უნდა გაფრთხილდეს ცრუ დასმენის (სსკ მუხლი 373) და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის, მოსალოდნელი სისხლისსამართებლივი პასუხისმგებლობის შესახებ. გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში, ბრლდების მხარემ უნდა განუმარტოს პირს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე გამოცხადების და დაკითხვის სავალდებულობის, სასამართლოში ჩვენების მიცემაზე უარის გამოკითხვის მიმდინარეობა აისახება გამოკითხვის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ მონაწილე პირები - გამოკითხული პირი, გამომძიებელი, ადვოკატი/თარჯიმანი და სხვა პირი - ასეთის არსებობის შემთხვევაში. ოქმი უნდა შედგეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირი უარს აცხადებს

[8] საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მესამე გამოცემა, ჯ. გახოკიძის, მ, მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქტორობით, თბ., 2015, გვ. 47.

გამოკითხვაზე. ამ შემთხვევაში უართან ერთად უნდა აღინიშნოს უარის მიზეზები, და ის რომ პირს განემარტა მაგისტრატ მოსამართლესთან შესაძლოა დაკითხვის წესი და პროცედურა, სასამართლოში დაკითხვისას ადვოკატის ყოლის უფლების შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლისამართებლივი პასუხისმგებლობის შესახებ. გამოკითხვისას შესაძლებელია ჩამწერი ტექნიკური საშუალების გამოყენება (რის შესახებაც გამოკითხვის დაწყებამდე უნდა ეცნობოს გამოსაკითხ პირს), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ საქმეებზე სადაც ჩვენების შეცვლის ალბათობა მაღალია.[9]

3.გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვის არსი და მიზნები

დაკითხვა ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებაა, რომლის გარეშე, შეიძლება ითქვას არ ხდება არც ერთ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ჩატარება და სასამართლოში საქმის განხილვა[10]. დაკითხვა, ეს არის ინფორმაციის შეგროვების ტექნიკა,იგი მიმართულია ჭეშმარიტების დადგენისკენ სისხლის სამართლის საქმეზე. დაკითხვა ყველაზე გავრცელებული საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებაა.დაკითხვა _ არის პირისგან ჩვენების მიღების პროცესი, რომელსაც გამოსაძიებელი საქმისათვის საჭირო ინფორმაცია გააჩნია. ანუ დაკითხვა, როგორც საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედება, გამოიხატება იმაში, რომ გამომძიებელმა (სასამართლომ) დასაკითხი პირისგან მიიღოს ჩვენება იმ ფაქტებისა და გარემოებების შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა აქვს გამოსაძიებელი საქმისათვის და უშუალოდ კავშირშია მასთან. იგი ყველაზე გავრცელებული და რთული საგამოძიებო მოქმედებაა, მაგრამ საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ გამომძიებელს ხშირად უპირისპირდება პირი, რომელსაც არ სურს სიმართლის თქმა ან საერთოდ ჩვენების მიცემა, არამედ ადამიანი, რომელსაც აქვს საქმის გარშემო მისთვის ცნობილი, ჭეშმარიტად სრული ინფორმაციის გადმოცემის სურვილი, მაგრამ ჩვენების მიცემისას იბნევა და ცდება, დაკითხვის განმახორციელებელ პირს კი უწევს მოწმის მიერ მიღებული ინფორმაციის ანალიზი, მისი გაფილტვრა სიცრუისგან. აუცილებლობას წარმოადგენს მოგონილის და ცდომილებების თავისდროული აღმოჩენა, რათა გათვალისწინებული იქნას შემდგომში ჩვენებების შეფასებისას. გამომძიებლისათვის ჩვენება წარმოადგენს მტკიცებულებათა ინფორმაციულ წყაროს, მასში არსებული ფაქტობრივი

[9] დარასელია ნ. მოწმის სამართლებრივი სტატუსი სისხლისსამართალწარმოებაში, თბილისი, 2020

[10] სისხლის სამართლის პროცესი, ავტორთა კოლექტივი, თბ. 2020წელი,გვ279

მონაცემები, მტკიცებულებას. ეჭვმიტანილისა და ბრალდებულისათვის ჩვენება არის მის წინააღმდეგ წარმოქმნილი ეჭვისა ან წარდგენილი ბრალდებისაგან თავდაცვის საშუალება. ამის გათვალისწინება აუცილებლობას წარმოადგენს დაკითხვის, როგორც საგამოძიებო მოქმედების შეფასებისას. დაკითხვა წარმოადგენს გამოსაძიებელი შემთხვევის ანდა მასთან დაკავშირებული გარემოებებისა და პირების შესახებ ინფორმაციის გადაცემის პროცესს. დასაკითხი ამ ინფორმაციას ღებულობს ამა თუ იმ მოვლენის ანდა საგნების აღქმის მომენტში, იმახსოვრებს, შემდეგ მეხსიერებაში აღიდგენს და დაკითხვისას გადასცემს გამომძიებელს. ჩვენების ფორმირების პროცესი ატარებს ფსიქოლოგიურ ხასიათს, მოვლენის აღქმიდან ინფორმაციის გადაცემამდე, რის განმავლობაშიც ადამიანის ფსიქიკაზე მოქმედებს მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი, რომელიც შემდგომში ჩვენების მართებულობაზე და სისრულეზე სხვადასხვაგვარად აისახება.[11] დაკითხვის ძირითადი ამოცანა სწორედ ის არის, რომ დასაკითხი პირისაგან მიღებულ იქნას სწორი და ზუსტი ინფორმაცია მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. ამ ინფორმაციის მიღება გარკვეულწილად ძნელიც კი არის ცალკეულ შემთხვევებში, თუნდაც მაშინ, როდესაც დასაკითხი პიროვნება აშკარად არ გვაძლევს და არც სურს მოგვცეს ზუსტი ჩვენება.ინფორმაციის გადმოცემა ხდება კომუნიკაციის საშუალებით, რომელიც მყარდება დასაკითხსა და დამკითხავს შორის. ამ დროს საჭირო ხდება ადრე ნანახი მოვლენების, ფაქტების, საგნების პარამეტრების და დავიწყებული ნიშანთვისებების აღდგენა, ასევე საჭირო ხდება ჩვენების მომცემის ხასიათის ამოცნობა, რათა დარწმუნებული ვიყოთ, გვაძლევს თუ არა დასაკითხი სწორ ჩვენებას, ხომ არა აქვს ადგილი პირადი დაინტერესების მიზნით ფაქტების განზრახ დამახინჯებას, ტყუილს, ფანტაზიას. როგორც ვიცით, დაკითხვის ძირითადი ამოცანაა, რომ დასაკითხი პირისაგან მიღებულ იქნას სწორი და უტყუარი ინფორმაცია.

3.1.გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვის საფუძველი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის თანახმად, მოწმე ესაა პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარშემო ჭეშმარიტების დასადგენად საჭირო ინფორმაცია. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

[11] დეკანოზიშვილი.გ. დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლის სამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში, გვ14/15; თბილისი;2010

114-ე მუხლი ადგენს, გამოძიების ეტაპზე პირის მოწმედ დაკითხვის წესს, კერძოდ, გამოძიების სტადიაზე, როგორც ბრალდების მხარის, ისე დაცვის მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს პირი, თუ არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს, აგრეთვე, იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს, არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს, ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით. ბრალდების მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი, და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს. ასეთივე უფლებით სარგებლობს დაცვის მხარე ამ კოდექსით დადგენილი წესით. დაცვის მხარის შუამდგომლობით, გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც ობიექტურ პირს დააკმაყოფილებდა, რათა მას დაესკვნა აღნიშნული პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი, აგრეთვე, ამ პირის დაკითხვა დაცვის მხარისთვის მნიშვნელოვანია ან/და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს. საპროცესო კოდექსის აღნიშნული მუხლის მიხედვით დაცვის მხარის უფლება, გამოსაკითხი პირი დაკითხოს მაგისტრი მოსამართლის წინაშე არ ვრცელდება: ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი ორგანოს თანამშრომელზე/მის ზემდგომ თანამდებობის პირზე, განხორციელებულ/განსახორციელებელ ფარულ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებით; ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განმახორციელებელი ორგანოს თანამშრომელზე/მის ზემდგომ თანამდებობის პირზე/ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელებაში ჩართულ პირზე, განხორციელებულ/განსახორციელებელ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებასთან დაკავშირებით; პროკურორზე, გამომძიებელზე, მათ ზემდგომ თანამდებობის პირზე, კოდექსით

განხორციელებულ/განსახორციელებელ მოქმედებასთან დაკავშირებით. მაგისტრატი მოსამართლის წინაშე ჩვენების მიცემა სავალდებულოა. ჩვენების მიცემაზე უარის თქმა იწვევს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ეს წესი არ მოქმედებს ამ მუხლის მე-15 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პირის მოწმედ დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი. პროკურორი უფლებამოსილია მაგისტრატ მოსამართლეს შუამდგომლობით თავად მიმართოს ან შუამდგომლობით მიმართვა გამომძიებელს დაავალოს. მხარე შუამდგომლობით მიმართავს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით. მოწმის დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობას მაგისტრატი მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს. სსსკ-ის 114 მუხლის თანახმად, შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოწმე უნდა დაიკითხოს გონივრულ ვადაში, მაგრამ სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში მაგისტრატ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლის მიხედვით, დაკითხვის დაწყებამდე სასამართლო ადგენს მოწმის ვინაობას. სასამართლო ფიცის დადების შემდეგ მოწმეს განუმარტავს, თუ რა უფლებამოვალეობები გააჩნია, რა საქმეზეა იგი გამოძახებული, რომ ვალდებულია თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით და აფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, ასევე განუმარტავს, რომ არ არის ვალდებული, მისცეს დანაშაულის ჩადენაში თავისი თავის ან ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენება, აღნიშნული უფლება მოწმეს გარანტირებული აქვს საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის მე-8 ნაწილით. სასამართლო სხდომაზე დასაშვებია მოწმის იძულება სასამართლო პროცესზე გამოცხადების მიზნით. პროკურატურას და პოლიციას არ აქვთ უფლება, დაკითხონ მოწმეები სასამართლოს გარეთ, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. პოლიციას და პროკურატურას არ აქვთ უფლება, აიძულონ მოწმე, ითანამშრომლოს გამოძიებასთან. მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ძირითადი არსი ის არის, რომ მოწმის ურთიერთობას საგამოძიებო ორგანოებთან, ჩვეულებრივ, ნებაყოფილობითი ხასიათი მიენიჭა და პირს აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება, მისცეს ან არ მისცეს ინფორმაცია გამომძიებელს ან დაცვის მხარის წარმომადგენელს, თუ მას ეს არ სურს.[12]

[12] ხუციშვილი ხ. გამოძიებისას მოწმის გამოკითხვისა და დაკითხვის ახალი წესი

საგულისხმოა, რომ სსსკ-ის 114-ე მუხლი პირის მოწმედ დაკითხვასთან მიმართებით, შინაარსობრივი თვალსაზრისით ორ ნაწილად იყოფა: მისი 1-ლი ნაწილი ეხება, ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ მაგისტრატ მოსამართლესთან ოთხი კონკრეტული საკანონმდებლო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მოწმედ დაკითხვის უფლებამოსილებას, ხოლო მე-2 ნაწილი შეეხება, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე _ მოწმედ დაკითხოს პირი, მისი მხრიდან სისხლის სამართლის საქმეზე, გარემოებათა დასადგენად, საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტზე დაყრდნობით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდწქსის 1998 წლის 20 თებერვლის რედაქციით, პირის დაკითხვა შეიძლებობა: 1. გამომძიებლის, 2. პროკურორის სამუშაო კაბინეტსა და სპეციალურად დაკითხვისთვის მოწყობილ ოთახში. ძველი რედაქცია, არც ერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, არ ცნობდა გამოძიების სტადიაზე პირის მოსამართლესთან მოწმედ დაკითხვის შესაძლებლობას. მაგისტრატ მოსამართლესთან პირის მოწმედ დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის შეტანის მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი, რომლის საფუძველზეც შუამდგომლობის შეტანა შეუძლია თავად პროკურორს, ან მისი დავალებით გამომძიებელს, გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარე შუამდგომლობით მიმართავს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფელის მიხედვით. შუამდგომლობაში მიეთითება მოწმის სახელი, გვარი, მისამართი და პირის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი სხვა ინფორმაცია, აგრეთვე, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ დაკითხვის საფუძველი.აგისტრატი მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოწმის დაკითხვა უნდა მოხდეს სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა. აღნიშნული ვადა დაკითხვის ინიციატორ მხარესთან შეთანხმებით შეიძლება გაგრძელდეს, თუ მოწმე დადგენილ ვადაში საპატიო მიზეზით ვერ ცხადდება სასამართლოში. დაუშვებელია მოწმის დაკითხვა ღამით. ღამის დადგომისთანავე დაწყებული დაკითხვა უნდა შეწყდეს და გადაიდოს მეორე დღისთვის. მოწმე არის პირი, რომელიც სამართალწარმოებისას იძლევა ჩვენებას სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რომელიც მას სრულიად შემთხვევით გააჩნია.[13] მოწმის ჩვენება სისხლისსამართალწარმოებაში ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთ

საკანონმდებლო ცვლილებები სისხლის სამართალის პროცესში, გორი, 2019,

[13] ხუციშვილი ხ. გამოძიებისას მოწმის გამოკითხვისა და დაკითხვის ახალი წესი - საკანონმდებლო ცვლილებები სისხლის სამართალის პროცესში, გორი, 2019

ყველაზე გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს, წარმოადგენს და მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოძიების სწორად წარმართვისა თუ ფაქტების გამოკვლევა-დადგენისათვის.[14] მის განსაკუთრებულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, არსებობს აფორიზმიც:,,არ არსებობს მოწმე, არ არსებობს ქეისი''.[15] საქმეზე რეალობის დადგენა დაკითხვის განმახორციელებელი პირის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა,ამის საშუალებას კი მას გამოძიების პროცესის ერთ-ერთი მონაწილე, მოწმე აძლევს. არსებობს სიტუაციები, როცა დამკითხავი ამას ვერ ახერხებს ისეთი მოწმეებისგანაც, რომელებსაც ნამდვილად სურვილი აქვს კეთილსინდისიერად მოუყვეს გამომძიებელს ყველაფერი, რაც მან დაინახა, რის გამოც დაკითხვა უშედეგოდ მთავრდება. ამის მიზეზი კი არის ადამიანის უნარი სრულად და სწორად აღიქვას ის, რაც მან დაინახა, გაიგონა და განიცადა ან სულაც ვერ დაინახა, მარტო გაიგონა, მაგრამ თავისი წარმოდგენები აქვს, რომელსაც იგი მართებულად მიიჩნევს.[16] ფაქტები, რომლებზეც მოწმე საუბრობს, როგორც წესი, მან უშუალოდ დაინახა ან/და მოისმინა. დაკითხვის მიზანია, `ინფორმაციის მიღება იმ ფაქტების შესახებ, რასაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი, ხოლო ამოცანას წარმოადგენს ზემოაღნიშნული გზით მიღებულ ინფორმაციას გააჩნდეს სწორი და ზუსტი ხასიათი. საგულისხმოა, რომ თვითმხილველი მოწმის დაკითხვა გამოძიებას მნიშვნელოვნად ეხმარება: 1. სისხლის სამართლის საქმის წინსვლაში, 2. დამნაშავის იდენტიფიცირებასა და 3. უდანაშაულო პირის, შესაძლო ბრალდებისგან გამორიცხვაში.[17] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20-ე ნაწილის თანახმად, მოწმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად და მართლმსაჯულების განსახორციელებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოწმეთა მონაწილეობას პროცესში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს

[14] [14] Liao M., How to Improve China's Witness Protection System: an Evaluation on Protection of Witness in the Amendment to the Criminal Procedure Law of China, Frontiers of Law in China, №3, September 2012

[15] Groom D., No Witness, No Case: an Assessment on the Conduct and Quality of ICC Investigations, Penn State Journal of Law & International Aff airs, №1, 2014,

[16] დაკითხვის თანამედროვე პრობლემები;გია დეკანოზიშვილი;თბილისი 2010; გვ 75

[17] Reno J., Eyewitness Evidence, A Guide for Law Enforcement, U.S Departament of Justice, Offi ce of Justice Programs, Research Report,
October 1999, 1.

საქმისათვის.[18] შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მოწმის დაკითხვა გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, ამიტომაც, იგი შეუცვლელ მტკიცებულებად არის აღიარებული.[19] მოწმე პირველად ჩვენე¬ბას, ნებაყოფლობით, პირდაპირ სასამართლო პროცესზე, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე აძლევს, სსსკ-ის 49-ე მუხლით განსაზღვრულია მოწმის უფლება-მოვალეობანი, კერძოდ, მოწმეს უფლება აქვს იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული, თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ჩვენება მისცეს მშობლიურ ან მისთვის სასურველ სხვა ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე, გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში შენიშვნების, დამატებებისა და ცვლილებების შეტანა, აგრეთვე, არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს. (მოწმის აღნიშნული უფლება ასევე გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილით, არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი, ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება , რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით), მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში, მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება. მოწმე ვალდებულია: გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებით, უპასუხოს დასმულ შეკითხვებს, არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა სასამართლომ, დაიცვას წესრიგი საქმის სასამართლო განხილვის დროს, სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი. მოწმე შეიძლება იძულებით მიიყვანონ სასამართლოში. სსსკ-ის 75-ე მუხლის თანახმად, მოწმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ მოწმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს ან თუ დადგინდება, რომ ფსიქიკური ავადმყოფობის, ან ფიზიკური ნაკლის გამო მას არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები, ასევე, თუ პირის მიერ გამოკითხვისას მიწოდებულ ინფორმაციასა და მის ჩვენებას შორის ან/და მოწმის ჩვენებებს შორის არსებითი წინააღმდეგო-ბაა, მხარე უფლებამოსილია მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე. მოწმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამ მოწმის გამოკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს. სისხლის სამართლის

[18] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი,თბილისი,2015 წელი , გვ.378.

[19] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კერძო ნაწილის სახელმძღვანელო., მ.მამნიაშვილი.,ჯ.გახოკიძე.,2012.,თავი მე-2.,გვ 47

პროცესში, აგრეთვე, არსებობს ირიბი ჩვენება, რომელიც სსსკ-ის 76-ე მუხლშია მოცემული, სისხლის სამართლის პროცესში ირიბი ეწოდება მოწმის ისეთ ჩვენებას, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.

მოწმის მიერ მიცემულ ჩვენება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებაა. მოწმე არ შეიძლება ჩანაცვლდეს სხვა პირით, სწორედ ეს ანიჭებს მოწმის სტატუს განსაკუთრებულ ხასიათს, რადგან პროცესის სხვა მონაწილეები მაგალითად, თარჯიმანი, ექსპერტი, მათი ფუნქციების განხორციელება შესაბამისი განათლების და კვალიფიკაციის მქონე ნებისმიერმა სხვა პირმა შეიძლება განახორციელოს. ამასთან, მოწმე პროცესის მწარმოებელ ორგანოს აწვდის არა საკუთარ მოსაზრებას ან დასკვნებს, არამედ უშუალოდ მის მიერ ნანახ ან გაგონილი ინფორმაციას. ცვლილებები განიცადა მოწმის გამოკითხვა-დაკითხვის წესმა გამოძიების ეტაპზე. ნებისმიერი პირისგან შეიძლება მივიღოთ ჩვენება, გარდა სპეცია-ლური მოწმისა. კანონი აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს მოწმის ფუნქციებიდან გამომდინარე, მაგალითად, პირი, მოწმის სახით პროცესში მონაწილეობისათვის უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს: მას უნდა გააჩნდეს უნარი აღიქვას, დაიმახსოვროს, გაიხსენოს და მოგვიანებით გადმოსცეს საქმისათვის საჭირო მონაცემი. მას ასევე უნდა ესმოდეს ვალდებულება, თქვას მხოლოდ სიმართლე, რასაც აგრეთვე ავალდებულებს საპროცესო კანონმდებლობა. საქმისათვის საჭირო მონაცემი პირს უნდა გააჩნდეს საკუთარი აღქმის საფუძველზე და შეეძლოს მისი გადმოცემა. მოწმის მიერ მოწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს გარკვეულ ფაქტებზე დაყრდნობილი, რომელიც საქმისათვის მნიშვნელოვანია და არ უნდა იყოს მხოლოდ მოწმის მოსაზრება, შეხედულება. პირისათვის მოწმის პროცესუალური სტატუსის მინიჭება დამოკიდებულია გარკვეულ წინაპირობებზე, რაც მდგომარეობს მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებაში. პირი მოწმის უფლება-მოვალეობებს იძენს მას შემდეგ, როდესაც მას შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი, სათანადო წესით გააფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის, ასევე ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე და იგი დადებს ფიცს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექ-

სის 114-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი, და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს. გათვალისწინებულ შემთხვევაში მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პირის მოწმედ დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის შეტანის გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი. პროკურორი უფლებამოსილია მაგისტრატ მოსამართლეს შუამდგომლობით თავად მიმართოს ან შუამდგომლობით მიმართვა გამომძიებელს დაავალოს. სსსკ-ის 114-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გამოძიების სტადიაზე როგორც ბრალდების მხარის, ისე დაცვის მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს პირი, თუ არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს, აგრეთვე, იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს; არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს; ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით. როდესაც ბრალდების მხარე მაგისტრატი მოსამართლის წინაშე აყენებს შუამდგომლობას გამოსაკიხი პირის მოწმედ დაკითხვის თაობაზე, სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დაცვის მხარე არ ესწრება მოწმის დაითხვას ,, ვინაიდან ეს არ არის საქმის განხილვის ეტაპი, რეალურად საქმე გვაქვს საგამოძიებო მოქმედების, მოწმის დაკითხვის სასამართლო დარბაზში გადატანასთან, რაც მოწმის დაცულობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანი სიახლეა. თუმცა დაცვის მხარეს აუცილებლად მიუწვდება ხელი ამგვარი დაკითხვის ოქმზე. უფრო მეტიც, მას წინასასამართლო სხდომაზე შეუძლია, მოითხოვოს ამ ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა, საქმის არსებითი განხილვისას კი უფლება აქვს, ჯვარედინი წესით დაკითხოს იგივე მოწმე და გამოავლინოს შეუსაბამობები მის მიერ სხვადასხვა დროს მიცემულ ჩვენებებს შორის. ამ მიზნით მხარეს შეუძლია, მოითხოვოს მოწმის მიერ მაგისტრატი მოსამართლისათვის მიცემული ჩვენების საჯაროდ წაკითხვა ისე, რომ არ დასჭირდეს იმის მტკიცება, რომ ეს ჩვენება მუქარის

ან ზეწოლის შედეგად არის მიღებული. ეს წესი კანონპროექტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს და სრულად იცავს დაცვის მხარის უფლებებდულება ან მისი პირადი დასკვნები. მოწმე არის პიროვ-ნული მტკიცებულება.[20] პირისათვის მოწმის პროცესუალური სტატუსის მინიჭება დამოკიდებულია გარკვეულ წინაპირობებზე, რაც მდგომარეობს მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებაში. პირი მოწმის უფლება-მოვალეობებს იძენს მაშინ, როდესაც მას მოსამართლე და ასევე გამომძიებელი, ზოგიერთ საქმეზე სათანადო წესით გააფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის, ასევე ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხის-მგებლობის თაობაზე და იგი დადებს ფიცს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება ასევე დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი, და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს. გათვალისწინებულ შემთხვევაში მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პირის მოწმედ დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი. პროკურორი უფლებამოსილია მაგისტრატ მოსა-მართლეს შუამდგომლობით თავად მიმართოს ან შუამდგომლობით მიმართვა გამომძიებელს დაავალოს. სსსკ-ის 114-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გამოძიების სტადიაზე როგორც ბრალდების მხარის, ისე დაცვის მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს პირი, თუ ა) არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს; ბ) იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს; გ) არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივ-რულ ძალისხმევას საჭიროებს; დ) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით. როდესაც ბრალდების მხარე მაგისტრატი მოსამართლის წინაშე აყენებს შუამდგომლობას გამოსაკიხი პირის მოწმედ დაკითხვის თაობაზე სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, რომელზეც ზემოთ არის საუბარი, დაცვის მხარე

[20] ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესის სახელმძღვანელო,თბილისი,2015,293.

არ ესწრება მოწმის დაითხვას ,, ვინაიდან ეს არ არის საქმის განხილვის ეტაპი, რეალურად საქმე გვაქვს საგამოძიებო მოქმედების, მოწმის დაკითხვის სასამართლო დარბაზში გადატანასთან, რაც მოწმის დაცულობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანი სიახლეა. თუმცა დაცვის მხარეს აუცილებლად მიუწვდება ხელი ამგვარი დაკითხვის ოქმზე. უფრო მეტიც, მას წინასასამართლო სხდომაზე შეუძლია, მოითხოვოს ამ ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა, საქმის არსებითი განხილვისას კი უფლება აქვს, ჯვარედინი წესით დაკითხოს იგივე მოწმე და გამოავლინოს შეუსაბამობები მის მიერ სხვადასხვა დროს მიცემულ ჩვენებებს შორის. ამ მიზნით მხარეს შეუძლია, მოითხოვოს მოწმის მიერ მაგისტრატი მოსამართლისათვის მიცემული ჩვენების საჯაროდ წაკითხვა ისე, რომ არ დასჭირდეს იმის მტკიცება, რომ ეს ჩვენება მუქარის ან ზეწოლის შედეგად არის მიღებული. ეს წესი კანონპროექტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს და სრულად იცავს დაცვის მხარის უფლებებ.[21] თუ მოწმე არ გამოცხადდა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ჩვენების მისაცემად, მისი გამოკითხვის გზით მიღებული ინფორმაციის ან გამოძიების დროს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის შესაბამისად მიცემული ჩვენების საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა დასაშვებია, აგრეთვე, მიღებული ინფორმაციის/ჩვენების აუდიო, ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება) დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწმე გარდაიცვალა, საქართველოში არ იმყოფება, მისი ადგილსამყოფელი უცნობია, ან ამოწურულია სასამართლოს წინაშე მისი წარდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა და გამოკითხვა/დაკითხვა კოდექსით დადგენილი წესით ჩატარდა. არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად მხოლოდ აღნიშნული მტკიცებულება დაედოს. კანონმდებლის მიერ შემოღებული ნოვაცია, რომელიც ითვალისწინებს მოწმის დაკითხვას მაგისტრატი მოსამართლის წინაშე, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ამ ცვლილებით პოლიციას შესაძლო დამნაშავეს დაუმტკიცოს მის მიერ ჩადენილი ქმედება, რადგან მოწმის ან თვითმხილველის მიერ ჩვენების მიცემის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის ფაქტორს. აქ მნიშვნელოვანია თუ როდის არის სასურველი დაკითხვა უშუალოდ ფაქტის შემდგომ, თუ რამოდენიმე დღის შემდეგ. მეხსიერების მუშაობის კანონზომიერებებზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანია, რომ პიროვნების დაკითხვა მოხდეს დანაშაულებრივი ფაქტის განხორციელებიდან უმოკლეს ვადაში, ვინაიდან დროის გასვლის შემდეგ, შესაძლებელია ადამიანს დაავიწყდეს

[21] www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5061 თბილისი,2015.30.11.,1.

მნიშვნელოვანი მომენტები, მოწმის შემთხვევაში მოვლენათა აღდგენა უარესდება დროის გასვლასთან ერთად.[22] აღნიშნული წესით, ბრალდების მხარეს ერთმევა შესაძლებლობა მოწმე მომხდარი ფაქტიდან უმოკლეს ვადაში დაკითხოს, თუ მოწმე გამოძიებასთან არ თანამშრომლობს და უწევს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა და დაასაბუთოს, რომ პირი ფლობს ინფორმაციას გამოსაძიებელ საქმესთან დაკავშირებით და მისგან მიღებული ინფორმაცია გამოძიებას დაეხმარება სისხლის სამართლის საქმის გახსნაში, რაც უდაოდ მოითხოვს დამატებით დროს და რესურსებს რის გამოც მოწმემ შესაძლოა ვეღარ აღიდგინოს ზედმიწევნით მომხდარი მოვლენები დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით.[23]

4. დაკითხვა/გამოკითხვის გამიჯვნა

გამოკითხვა ყოველთვის წინ უსწრებს დაკითხვას, პირის გამოკითხვისას მიღებული ინფორმაცია ხშირად წინაპირობაა რომ პირი დაიკითხოს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის სტატუსით. გამოკითხვა ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს. გამოსაკითხი პირისგან ინფორმაციის მიღება მისი სურვილის შედეგია. გამოკითხვა, ეს არის ახალი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც შემოღებულ იქნა იმისთვის, რომ გამოძიებისას მხარეებმა მოიპოვონ ინფორმაცია კონკრეტულ პირებზე, რომლებიც შეიძლება, სასამართლოში იყვნენ დაბარებულნი მოწმის სახით. გამოკითხვა ნებაყოფლობითი ხასიათისაა. გამოსაკითხი პირი არ ფრთხილდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, რადგან მისგან მიღებული ინფორმაცია არ არის ჩვენება.[24]მოქმედი საპროცესო კოდექსის ერთ-ერთ ძირითად ნოვაციას წარმოადგენს სასამართლო განხილვისას მოწმის დაკითხვის წესის შემოღება, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოძიების დროს მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში არის შესაძლებელი მოწმის დაკითხვა, ისიც მხარის შუამდგომლობით და მაგისტრატი მოსამართლის წინაშე, მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114–ე მუხლის თანახმად, როცა არსებობს მოწმის სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება, ხელი შეუშალოს მის დაკითხვას საქმის

[22] საგამოძიებო საქმიანობის ფსიქოლოგიური ასპექტები, 2015, გვ 107

[23] ხუციშვილი ხ. გამოძიებისას მოწმის გამოკითხვისა და დაკითხვის ახალი წესი - საკანონმდებლო ცვლილებები სისხლის სამართალის პროცესში, გორი, 2019

[24] საქართველოში,სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და კვლევების კრებული; გვ 10;თბილისი 2015

არსებითი განხილვის დროს; იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას; საქმის სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართვისთვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება საჭიროებს არაგონივრულ ძალისხმევას; ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.[25] მოწმეს აკისრია ვალდებულება მაგისტრატი მოსამართლის წინაშე თქვას ყველაფერი რაც იცის. გამოკითხვა გულისხმობს, პირის მიერ მისთვის ცნობილი ინფორმაციის მიწოდებას მხოლოდ და მხოლოდ მისი სურვილის შემთხვევაში, სისხლს სამართლის კოდექსი მიუთითებს, რომ დაუშვებელია გამოსაკითხი პირი აიძულონ გასცეს ინფორმაცია, გამოკითხვა არის წინაპირობა მოწმის დაკითხვისა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე წინასასამართლო სხდომაზე დღევანდელი კანონმდებლობით, ვინაიდან გამოკითხვის ოქმით სასამართლო ადგენს პირის რელევანტურობას და შემხებლობას საქმესთან. გამოკითხვა ეს არის ინფორმაციის მოპოვება საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით გამომძიებლის მიერ შეკითხვების დასმის მეშვეობით.გამოკითხვა ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს დაკითხვას. გამოკითხვის დროს გამომძიებელი იკვლევს ეჭვმიტანილის პიროვნებას, შეიტყობს მისი მიზნებს, განცდებს, გრძნობებს და ა.შ. გამოკითხვა არ არის იძულებითი პროცესი, იგი თავისუფალ საუბარს ჰგავს, რომლის დროსაც გამომძიებელი აკვირდება გამოსაკითხი პირის ვერბალურ და არავერბალურ ქცევას, ამყარებს მასთან ფსიქოლოგიურ კონტაქტს.[26] სისხლის სამართლის ნოვაციაა მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა მხოლოდ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე სასამართლოში. სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პირის მოწმედ დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი. პროკურორი უფლებამოსილია მაგისტრატ მოსამართლეს შუამდგომლობით თავად მიმართოს ან შუამდგომლობით მიმართვა გამომძიებელს დაავალოს.[27]

თავიII მოწმის დაკითხვის სპეციფიკა საქართველოში გამოძიები სტადიაზე

1. საკანონმდებლო ცვლილება რომელიც განიცადა მოწმის დაკითხვის წესმა

[25] საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და კვლევების კრებული; გვ9;თბილისი 2015

[26] დეკანოზიშვილი გ.,დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში,თბილსი,2014., გვ. 113

[27] ხუციშვილი ხ. გამოძიებისას მოწმის გამოკითხვისა და დაკითხვის ახალი წესი - საკანონმდებლო ცვლილებები სისხლის სამართალის პროცესში, გორი, 2019

რიგ შემთხვევებში, დანაშაულის ეფექტურად გამოძიება შეიძლება მნიშვნელოვნად იყოს დამოკიდებული მოწმის მიერ საგამოძიებო ორგანოსათვის ინფორმაციის მიწოდებაზე და სხვაგვარად შეუძლებელი იყოს დამნაშავის იდენტიფიცირება და მართლმსაჯულების აღსრულება. საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 18 დეკემბერს მიიღო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც გამოძიების სტადიაზე მოწმის გამოკითხვისა და დაკითხვის წესს შეეხო. ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ასევე საპროცესო კოდექსში რომელიც 2016 წლის 20 თებერვალს ამოქმედდა,[28] აღნიშნული ცვლილებით, მოწმის ურთიერთობა საგამოძიებო ორგანოებთან ნებაყოფლობითი გახდა. რეალურად საქმე გვაქვს საგამოძიებო მოქმედების, მოწმის დაკითხვის , სასამართლო დარბაზში გადატანასთან. მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი კანონში 2009 წლიდან გვაქვს, მიუხედავად ამისა, მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოები ჯერაც არ გამოთქვამდნენ მზაობას და სურვილს ამ წესის ამოქმედების თაობაზე. აღნიშნული ეხება როგორც სამართალდამცავ ორგანოებს, ასევე სასამართლო ხელისუფლებას.

მართალია, დაკითხვის ახალი წესის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ საკითხი აქტუალურობას არ კარგავს, რადგან აღნიშნულმა წესმა კოდექსის ამოქმედებიდან დღემდე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რაც განხილვას და ანალიზს მოითხოვს.საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მოწმე ვალდებული იყო გამოცხადებულიყო გამომძიებელთან, პროკურორთან და მიეცა სწორი ჩვენება. გარდა ამისა, გამოძიების სტადიაზე მხოლოდ ბრალდების მხარეს ჰქონდა უფლება დაეკითხა მოწმე. მოქმედმა კოდექსმა დიამეტრალურად შეცვალა დაკითხვის წესი, დაკითხვასთან ერთად შემოიღო გამოკითხვის ინსტიტუტი და შეჯიბრებითობის გათვალისწინებით, გამოკითხვა/დაკითხვის უფლებამოსილება ბრალდების მხარესთან ერთად დაცვის მხარესაც მიაკუთვნა. საგულისხმოა, რომ გამოძიების ეტაპზე მხარეებს შეუძლიათ აწარმოონ გამოკითხვა, ხოლო დაკითხვა განხორციელდება სასამართლოში. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს საგამონაკლისო შემთხვევებს, რომელთა არსებობისას შესაძლებელია გამოძიების სტადიაზე მხარის შუამდგომლობით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის დაკითხვა. კერძოდ, ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება: არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მოწმედ დაკითხვას

[28] საქართველოს სახელით საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება №2/13/1234,1235

სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს; იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს; არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს; ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.[29] აღნიშნული ნორმის ამოქმედება გადავადებულ იქნა რამდენჯერმე. საბოლოოდ იგი ნაწილობრივ ამოქმედდა 2016 წლის 20 თებერვლიდან, სრულად კი 2018 წლის იანვრიდან.[30] როგორც ჩვენთვის ცნობიალია, 2015 წლის 18 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით, რომელიც შეეხო მოწმის დაკითხვის წესს, კერძოდ,იმ შემთხვევაში თუკი გამოსაკითხი პირი უარს იტყვის ინფორმაციის მიწოდებაზე, პროკურორს შეუძლია, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს და ეს პირი მოწმის სახით დაკითხოს საგამოძიებო ეტაპზე მაგისტრატ მოსამართლესთან, იმ შემთხვევაში, თუარსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტის შესახებ. ამრიგად, 1998 წლის საპროცესო კოდექსით და 2009 წლის კოდექსით დადგენილი მოწმის დაკითხვის წესები ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდება. სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მტკიცებულება ესაა მოწმის ჩვენება. პრინციპი, რომელზეც დგას სისხლის სამართლის 2009 წლის საპროცესო კოდექსი, განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს მოწმეს, რადგან ყველა მტკიცებულების გამოკვლევას სჭირდება მოწმის ზეპირად დაკითხვა. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, მკაცრი შეფასების ტესტის გამოყენებისას, სასამართლო ამოწმებს თუ რამდენად არსებობს დაწესებული შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი, რომელიც სახელმწიფოსთვის წარმოადგენს დაუძლეველ ინტერესს და ამდენად ამართლებს დიფერენცირებულ მოპყრობას . კანონპროექტის რამდენჯერმე გადავადების მიზეზად დასახელდა ის რომ,სახელმწიფოს უსაფრთხოება და გამოძიების ეფექტიანად განხორციელება განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება იმ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომელთა ცხელ კვალზე გახსნაც გადამწყვეტი მნიშვნელობაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადავო ნორმეთან დაკავშირებულ განმარტებით ბარათში მითითებულია სწორედ ის, რომ მითითებული დანაშაულების ჩადენისთანავე

[29] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 114

[30] აქუბარდია.ი. გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საპროცესო წესის სრულყოფის შესახებ; გვ9; თბილისი,2019

„სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დანაშაულზე იმწუთიერი რეაგირებისა და მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის მოწმის დაკითხვის, მყისიერად განუხორციელებლობამ, შესაძლოა, შექმნას მტკიცებულებათა განადგურების, შემთხვევის ადგილის დაზიანებისა და მოწმეთა მიმალვის საფრთხემ შესაბამისად, რისკის ქვეშ დააყენოს ამ დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება და შეასუსტოს ქვეყანაში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბერკეტები.“[31] აღსანიშნავია, რომ დანაშაულთა ჩამონათვალთან დაკავშირებით შენიშვნები ჰქონდა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, რომელიც საკუთარ დასკვნაში მიუთითებს, რომ ძველი კოდექსით დადგენილი წესი უნდა გავრცელებულიყო მხოლოდ იმ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომლებზეც გამოძიების ცხელ კვალზე წარმოებას არსებითად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს (კომიტეტი გულისხმობდა ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულებებს) სამწუხაროდ, აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინება საბოლოოდ არ მომხდარა. გაურკვეველია, კანონმდებლის მიდგომა, თუ მოწმეთა ახალი წესი წარმოშობდა მნიშვნელოვან დაბრკოლებებს საქმის გამოძიების და გახსნის პროცესში 2018 წლამდე, რა შეიცვალა მომდევნო წლებში, მოწმეთა დაკითხვის წესის ამოქმედება ქმნიდა და ქმნის პრობლემას დანაშაულის ცხელ კვალზე გახსნის თვალსაზრისით,აღნიშნული უფრო პარადოქსი გახდა მას შემდეგ რაც სადავო ნორმაში მითითებულია სხვა დანაშაულები, რომელთა მიმართაც ცხელ კვალზე დანაშაულის გახსნას არ მიენიჭა ისეთივე მნიშვნელობა როგორიც ეს ტერორისტული მიზნით ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაშია. მათ შორისაა მაგალითად ძარცვა, თვითმკვლელობამდე მიყვანა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება და სხვა. თუ ჩვენ სამართალდამცავ ორგანოებს ვერ ვანდობთ მოწმის დაკითხვას საგამოძიებო ორგანოებში, იმ მოტივით რომ შესაძლოა იქ შეილახოს მოწმის უფლებები, მაშინ როგორ შეიძლება ამ ორგანოს საერთოდ ვანდოთ დანაშაულთან ბრძოლის ლეგიტიმაცია. სახელმწიფოს უსაფრთხოება და გამოძიების ეფექტიანად განხორციელება უნდა წარმოადგენდეს მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს.წლების განმავლობაში, მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ამოქმედებას სახელმწიფო გაურბოდა იმ მოტივით, რომ საგამოძიებო ორგანოები არ იყვნენ მზად ახალი წესით ეწარმოებინათ მოწმეთა დაკითხვა და მთლიანად გამოძიება. აღსანიშნავია, რომ მტკიცებულების მოპოვება და სასამართლოში წარდგენა ერთადერთი სამართლებრივი საშუალებაა მხარემ გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებაზე. სისხლის

[31] განმარტებითი ბარათი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ., თბილისი, 2015, გვ. 2

სამართლის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და წონადი მტკიცებულება - მოწმის ჩვენებაა. სასამართლო გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი სწორედ მოწმის ჩვენებებს ეყრდნობა. მოწმეთა ჩვენების მნიშვნელობას ხაზს უსვამს საკონსტიტუციო სასამართლოც, რომელიც აღნიშნავს, რომ „ის [მოწმის ჩვენება] შეიძლება იყოს ინფორმაციის ერთ-ერთი, ზოგჯერ კი ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო.“ [32]

2.გამოძიების სტადიაზე მოწმის გამოკითხვა/დაკითხვის მარეგულირებელი ნორმების ხარვეზები

მოწმეზე იძულების არც ერთი ფორმა არ ვრცელდება, გარდა სასამართლოში გამოცხადების ვალდებულებისა. პოლიციასთან თანამშრომლობა სრულიად ნებაყოფლობითია. რომელიმე მხარის მიერ მოწმის იძულებამ შესაძლოა, იმ ჩვენების დამახინჯება გამოიწვიოს, რომელიც ჩვენთვის ასე მნიშვნელოვანია. იძულებას შეუძლია, პოლიციასა და საზოგადოებას შორის გაუცხოება გამოიწვიოს. ადრეული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მოწმე ვალდებული იყო ჩვენება მიეცა როგორც გამომძიებლის, პროკურორის, ასევე სასამართლოსათვის და ჩვენების მიცემაზე უარის თქმა წარმოადგენდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს და ისჯებოდა სისხლის სამართლის წესით. საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით დადგინდა ახალი წესი. მოწმე აღარ არის ვალდებული ჩვენება მისცეს მხარეს, წინასასამართლო გამოძიებისას ის შეიძლება მხოლოდ ნებაყოფლობით იყოს გამოკითხული და ჩვენების მიცემის ვალდებული მხოლოდ სასამართლოს წინაშეა. ანუ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უფრო მეტად დაუახლოვდა ე. წ სასამართლო გამოძიების მოდელს, რომლის მიხედვითაც, მტკიცებულებათა მოპოვებაზე ვრცელდება სასამართლო კონტროლი. მოქმედი კანონმდებლობით არ ვხვდებით ე. წ „ წინასწარი გამოძიებას“ და წინასწარი გამოძიების ტერმინი შეიცვალა ტერმინით წინასასამართლო გამოძიება, ამით ხაზი გაესვა იმას, რომ გაიზარდა სასამართლოს როლი სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას, მათ შორის, მოწმის დაკითხვასთან მიმართებაში, ანუ საქმის გამოძიება და სასამართლო განხილვა გახდა სამეტაპიანი: ე.წ. „წინასასამართლო გამოძიება“, „წინასასამართლო სხდომა“ და „საქმის არსებითი განხილვა.“ თითოეული ეტაპი თავისი პროცესუალური სპეციფიკით ხასიათდება. სწორედ ახალი კანონმდებლობით დადგინდა ზოგადი წესი, რომ მოწმე

[32] კონსტიტუციური სარჩელი N1237, ვასილ საგანელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2017 წლის 15 ივნისი

შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას, მისი დაკითხვა წინასასამართლო გამოძიებისას პროკურორის ან გამომძიებლის მიერ დაუშვებელია და იგი ამ ეტაპზე ნებაყოფლობით გამოიკითხება პროკურორის ან/ და გამომძიებლის მიერ. ამ ზოგადი წესიდან დაშვებული იქნა გამონაკლისი და საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლით დადგინდა შემთხვევები, რა დროსაც შეიძლება მოწმის დაკითხვა წინასასამართლო გამოძიებისა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე. მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პირის მოწმედ დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხარე. მხარე უფლებამოსილია შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლების არსებობისას, შუამდგომლობით მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს. სწორედ აღნიშნული წესი (ანუ როდის მიმართოს ან მიმართოს თუ არა და ა. შ.) არაერთგვაროვნად განიმარტება მოსამართლეთა და მხარეთა მიერ. კერძოდ, ვალდებულია თუ არა მხარე შუამდგომლობით მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს წინასასამართლო გამოძიებისას მოწმის დაკითხვის შუამდგომლობით, თუ ეს მოწმე უარს აცხადებს მხარეებთან ნებაყოფლობით გამოკითხვაზე, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას და აქვს თუ არა მხარეს უფლება არ მოითხოვოს გამოკითხვაზე უარის მთქმელი შესაძლო მოწმის წინასასამართლო გამოძიებისას, მაგისტრატ მოსამართლესთან აუცილებელი დაკითხვა, თუ მხარეს უფლება აქვს არ იშუამდგომლოს მოწმის წინასასამართლო გამოძიებისას მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვის შესახებ, მაგრამ მოითხოვოს გამოკითხვაზე უარის მთქმელი მოწმის შეყვანა არსებითი განხილვისას, დასაკითხ პირთა ნუსხაში. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, როგორც წესი წინასასამართლო სხდომის მოსამართლეები დაუშვებლად ცნობენ იმ მოწმეთა გამოკითხვის ოქმებს, რომლებმაც უარი თქვეს გამოკითხვაზე და მხარეს არ მოუთხოვია მათი დაკითხვა წინასასამართლო გამოძიებისას მაგისტრატ მოსამართლესთან, მაგრამ ითხოვს ამ მოწმეთა შეყვანას საქმის არსებითი განხილვისას დასაკითხ პირთა სიაში.[33] მაგისტრატ მოსამართლესთან სავალდებულო დაკითხვის წესი, პრაქტიკულად აქრობს სამართალდამცავების მოტივაციას ითანამშრომლონ მოქალაქეებთან, მოიპოვონ მათი ნდობა და კეთილგანწყობა და ამ გზით, ნებაყოფლობით, მიიღონ გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. პოლიციელი არ იქნება დაინტერესებული გაზარდოს საკუთარი საგამოძიებო უნარ-ჩვევები და პროფესიონალიზმი. გამოძიება გამოწვევის წინაშე დგას, რადგან მასთან მოწმეები ძირითადად არ თანამშრომლობენ,დაზარალებულთა და მოწმეთა თანამშრომლობა

[33] მართლმსაჯულება და კანონი, N1(53); გვ.11.

ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებაში დანაშაულთან ეფექტურად გამკლავებისთვის,რიგ შემთხვევებში, უმნიშვნელოვანესია მომხდარი შემთხვევის დროული გამოძიება და მოწმეთა თანამშრომლობა,თუ მოწმეს სასამართლო სხდომამდე ინფორმაციის მიწოდების არანაირი ვალდებულება არ ექნება, მაშინ სისხლის სამართლის უამრავი დანაშაული გაუხსნელი დარჩება, მაგისტრატი მოსამრთლის როლი გამოძების პროცესში ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვაა. მისი კომპეტენცია გამოძიების ეტაპზე საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფაა. მაგისტრატი მოსამრთლის უფლებამოსილება, შეიძლება ითქვას, გამოძიების სტადიასთან უფრო მეტადაა დაკავშირებული, ვიდრე სასამართლო განხილვასთან. რეალურად მაგისტრატი მოსამართლე ამზადებს სისხლის სამართლის საქმეს წინასასამართლო სხდომისთვის.[34] პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას იმ პირის იდენტიფიკაციის პრობლემა, რომელიც უარს ამბობს გამოკითხვაზე, რაც ხელს შეუშლის ბრალდების მხარის მიერ გამოსაკითხი პირის სასამართლოში დაკითხვას. საქმე იმაშია, რომ გამოსაკითხი პირი გამოკითხვაზე როგორც თანხმობის, ისე უარის თქმის შემთხვევაში ვალდებულია გამომკითხველს თავისი პირადი მონაცემების შესახებ სწორი ინფორმაცია მიაწოდოს.[35] თუ მოწმე უარს იტყვის ასეთი ინფორმაციის მიწოდებაზე, არ არსებობს მექანიზმი, რომლითაც მოწმისგან შესაძლებელი გახდება პერსონალური მონაცემების მიღება/გამჟღავნება. მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პროკურორის მიერ წარდგენილ შუამდგომლობაში პირის მოწმედ დაკითხვის საფუძველთან ერთად უნდა იყოს აღნიშნული მოწმის სახელი, გვარი, მისამართი და პირის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი სხვა ინფორმაცია. შესაბამისად, ბრალდების მხარე ვერ შეძლებს შუამდგომლობაში მიუთითოს გამოსაძახებელი პირის ზუსტი მონაცემები, რაც დაბრკოლებას შეუქმნის ბრალდების მხარეს მოწმის დაკითხვაში. ამიტომ, აუცილებელია სსსკ 113-ე მუხლში განისაზღვროს პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომა დასახელებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.[36] გარდა ამისა, გამოკითხვა/დაკითხვის დროს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული მაგისტრატი მოსამართლის როლი. მართალია, მოსამართლე ვალდებულია ყველა შემთხვევაში სამართლიანად წარმართოს სასამართლო განხილვა, მაგრამ

[34] აქუბარდია ი.,საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევების კრებული, თბილისი, 2015, გვ. 35-36
[35] იქვ. გვ.34
[36] იქვ. გვ.10

ამავდროულად მიზანშეწონილია გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვის პროცესში მაგისტრატი მოსამართლის კონკრეტული უფლებამოსილება იყოს გამოკვეთილი, რაც ხელს შეუწყობდა სასამართლო კონტროლის გაძლიერებას გამოძიების ეტაპზე. თუ გამოსაკითხი პირი გამოკითხვაზე როგორც თანხმობის, ისე უარის თქმის შემთხვევაში უარს იტყვის გამომკითხველს მიაწოდოს პირადი მონაცემების შესახებ სწორი ინფორმაცია, არ არსებობს იძულების მექანიზმი, რომლითაც მოწმისგან შესაძლებელი გახდება პერსონალური მონაცემების მიღება. კანონის დანაწესი შეიცავს მხოლოდ ვალდებულებას პასუხისმგებლობის გარეშე, რაც დაბრკოლებას შეუქმნის ბრალდების მხარეს მოწმის დაკითხვაში, ვინაიდან შუამდგომლობაში უნდა იყოს მითითებული გამოსაძახებელი პირის ზუსტი მონაცემები. ამიტომ აუცილებელია სსსკ 113-ე მუხლში განისაზღვროს პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომა დასახელებულიმართალია, მოსამართლე ვალდებულია ყველა შემთხვევაში სამართლიანად წარმართოს

სასამართლო განხილვა, მაგრამ ამავდროულად მიზანშეწონილია მოწმის დაკითხვის პროცესში მაგისტრატი მოსამართლის როლი იყოს გამოკვეთილი საპროცესო კანონმდებლობით, რაც გააძლიერებდა სასამართლო კონტროლს გამოძიების სტადიაზე. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში;საბოლოოდ კი პრაქტიკის დახვეწასა და კანონმდებლობის სრულყოფას.ამ პერსპექტივიდან, სტატია მიზნად ისახავს წარმოაჩინოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ წარმოებული ეფექტური და პროაქტიული სისხლისსამართლებრივი დევნის მნიშვნელობა როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო ქვეყნების კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყოფისათვის.[37]

თავი III. მოწმის ჩვენების ფსიქოლოგიური ასპექტები

1. მოწმის ჩვენების ფორმირების ფსიქოლოგიური ასპექტები

ჩვენების ფორმირების პროცესის საწყისი ფაზა აღქმა, ხშირ შემთხვევაში სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გარკვეულ ერთობლიობაზე და შერწყმაზეა დამოკიდებული.[38] შედარებით სირთულეს წარმოადგენს დროის მონაკვეთის, მოძრაობის სიჩქარის, ფერისა და სივრცის აღქმა, რადგან ყოველივე ეს ობიექტურ და სხვა ფაქტორებთან ერთად პიროვნების სუბიექტურ წარმოდგენაზეა დამოკიდებული. ასე

[37] ი. აქუბარდია, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები; თბილისი 2019; გვ9

[38] ცინცაძე ზ. დაკითხვის ტაქტიკური საკითხები ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე, ჟ. ,,სამართალი' №6-7, 2003 წელი

მაგალითად, ფერის შეგრძნების განსაზღვრისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს, ადამიანის როგორც სუბიექტური თვისებები (ამ ფერის აღქმის უნარი), ასევე, ობიექტური, რადგან მაგალითად წითელი ფერი შედარებით უკეთესად აღიქმება და შორს მანძილიდან ჩანს. დროის აღქმა ადამიანის სუბიექტურ მდგომარეობაზე, ემოციურობაზეცაა დამოკიდებული. დადებითი ემოციებისას დრო ჩქარა გადის, უარყოფითი ემოციებისას-ნელა. თუ ვიცით ორი ენა (ქართული და რუსული) და ადამიანის მისი გარეგნული შეხედულების მიხედვით აღვიქვავთ, როგორც გასაუბრების ობიექტს, მას იმ ენაზე დაველაპარაკებით, რა გარეგნული შეხედულებაც აქვს. (რუსული გარეგნობისას რუსულად) და ასე შემდეგ. ყოველივე ზემო თქმულიდან გამომდინარე, ჩვენებიც ფორმირების პირველი საფეხური, აღქმა, განხილულ უნდა იქნას, არა მარტო, როგორც მასზე მოქმედი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების ზეგავლენა, არამედ ასევე, როგორც ამ სუბიექტური და ობიექტური ზეგავლენების ერთობლიობა. ამიტომ საკითხის შესწავლა უდნა მოხდეს სუბიექტური და ობიექტური ზეგავლენების ერთობლიობით , რათა გამომძიებლებმა და სისხლის სამართლის პროცესით დაკითხვის უფლება მინიჭებულმა პირებმა იცოდნენ ის ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ადამიანების აღქმაზე. ეს საშუალებას მოგვცემს სწორად და შეუცდომლად გავაანალიზოთ მოცემული ჩვენება, თავის ბუნებრივად მონაყოლ თუ ხელოვნურ მოგონილ ფაქტებთან ერთად.[39] შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ადამიანები ერთსა და იგივე მოვლენას ერთნაირად აღიქვავენ, მაგრამ რეალობაში ხშირად ასე არ არის. ყველა ინდივიდს ახასიათებს სამყაროს უნიკალური და თავისებური აღქმა. ეს განპირობებულია იმით, რომ ადამიანის მიერ გარე სამყაროს აღქმაზე გავლენას ახდენს გრძნობის ორგანოები და გარკვეულ სიტუაციებში მათი ფიზიკური შეზღუდვები. ე.ი. აღქმა ყოველთვის როდი იძლევა საგნის ობიექტურად სწორ, უტყუარ ასახვას. გარკვეულ პირობებში, ადგილი გვაქვს საგნის არასწორ, დამახინჯებულ აღქმასთან. არასწორი აღქმის სამ სახეს ასახვავებენ: „ფიზიკური ილუზიები-„ გრძნობის ორგანოების ფიზიკური შეზღუდვები , მათზე მოქმედი ზოაგდი ფაქტორები; ფიზიოლოგიური ილუზიები“- და მოქმედი გარე ფაქტორები; ფსიქოლოგიური ილუზიები - გრძნობის ორგანოების ფიზიკური შეზღუდვები, მათზე მოქმედი ზოგადი ფაქტორები, „ფიზიკური ილუზიები“- უპირველს ყოვლისა აღსანიშნავია ე.წ. გრძნობის ფიზიკური შეზღუდვა, მდგომარეობა, რომელშიც დამკვირვებელი იმყოფება და „ ფიზიკური ილუზიები“- ეს ის

[39] გ.დეკანოზიშვილი დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში; თბილისი 2009; ფვ 35/36

ილუზიებია, რომელსაც იწვევს საგნის მოცემულობის ფიზიკური პირობები. განვიხილოთ ყველაფერი ერთობლიობაში. შეგრძნებების შეზღუდულობის გამო ადამიანი გარე სამყაროს სრულიად ვერ აღიქვავს, მაგ. რადიო ტალღებს, ინფრაწითელ და ულტრა იისფერ სხივებს გარკვეული სიხშირის ბგერებს, რადიაციის გარკვეულ სახეობას. რეცეპტორული სისტემის შეზღუდულობის უნარი გვაიძულებს აღვიქვათ მხოლოდ ნაწილი იმისა, რაც ხდება ჩვენს გარშემო. გარე სამყაროს შეზღუდულ აღქმას მაშინაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც ჩვენს გრძნობებს ფიზიკურად შეუძლია მისი აღქმა. მხედველობა-მხედველობის შეგრძნებათა როლი ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებით დიდია. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის სინამდვიელსთან ურთიერთობაში, პირველ რიგში მხედველბით ხელმძღვანელობს. თვალის მთელი რუტინა (თვალის ბადურა) იძლება სინათლისა და ფერის შეგრძნების საშუალებას, მაგრამ მხოლოდ ცენტრალური ნაწილი იძლევა საშუალებას, საგნები ცნობიერ აღქმამდე ავიყვანოთ, რადგან პერიფერიული ნაწილის შთაბეჭდილებანი ბუნდოვანია. ადამიანის მხედველობითი აღქმა უფრო შეზღუდულია, ვიდრე ზოგიერთი ცხოველისა. ადამიანის თვალს არ შეუძლია აღიქვას რაიმე ძალზე სწრაფი მოძრაობა, როგორიცაა გასროლილი ტყვიის მოძრაობა.[40]

1.1 მოწმის მიერ ფაქტებისა და გარემოებების სუბიექტური აღქმა

პიროვნების მიერ ფაქტებისა და გარემოებათა აღქმა, დამახსოვრება და გადმოცემა ადამიანებთან ურთიერთობა გამომძიებლის საქმოანობის ძირითადი ნაწილია. ადამიანის ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის, ურთიერთობის დამყარების, ურთიერთობის სწორად წარმართვის და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ცოდნა პროფესიონალი გამომძიებლისთვის აუცილებელია ვიანიდან დასაკითხებიდან მოწოდებული ინფორმაციის და ფაქტების ანალიზი უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ დაკითხივს ბოლოს ,არამედ უშუალოდ დაკითხივს პერიოდში.[41] ჩვენებებში ზოგჯერ წარმოიქმნება შეუთავსებლობები ფაქტებთან, ადრე მიცემულ ჩვენებებთან მტკიცებულებებთან, რისი ანალიზიც უშუალოდ დაკითხვის მიმდინარეობის პერიოდშია საჭირო, რადგან ზოგჯერ შეცოდმები დაკითხვისას ყოველთვის როდი ნიშნავს, რომ ცრუ ჩვენებებთან გვაქვს საქმე სხვადასხვა სახის ხარვეზები ჩვენებებში შეიძლება ჰქონდეს იმ ადამიანებსაც, რომელთაც სურთ შემთხვევების შესახებ სრული

[40] ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია რომი 1950 წელი 4 ნოემბერი

[41] ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტების კრებული" თბილისი 1998

ინფორმაციის მოწოდება. ჩვენების ფორმირება თავისი სიზუსტით,ზოგჯერ ხარვეზებით და შეცდომებით წარმოიქმნება ჩვენების ფორმირების პროცესში რომელიც მოიცავს სამ ფაზას. ეს არის ფაქტებისა და გარემოებების აღქმა.მათი დამახსოვრება და გადმოცემა,მოწოდების პროცესი(რეპროდუქცია).ფაქტებისა და გარემოებათა შესახებ ცნობების მიღებისა ან მათი უშუალო ნახვიდან ჩვენების მიცემამდე გადის გარკვეული დრო.ამ პერიოდშ ხდება ჩვენების საწყისი და შუალედური ფორმირება .რასაც საფუძვლად უდევს ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური პროცესები,ჩვენების ფორმირება დამკითხავისა და დასაკითხის ურთიერთობის დროსაც მიმდინარეობს გარკვეული ინფორმაციების გაცვლის მეშვეობით.ინფორმაციების გაცვლა ურთიერთობისას,არის პროცესი,რომელიც გულისხმობს ინფორმაციის გადაცემას და მიღებას. სუბიექტს,რომელიც გადასცემს ინფორმაციას გადამცემი ეწოდება,ხოლო ის ვისაც გადასცემენ ინფორმაციას არის მიმღები,მათი როლები იცვლება პროცესის შეცვლისთანავე.ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად მიმღები ისე არ იგებს ინფორმაციას,როგორც გადამცემს სურს,ასეთი ურთიერთობა წყდება,საერთოდ კი ურთიერთობის შეწყვეტა ბევრმა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს.[42]

აღქმა ჩვენების ფორმირების პროცესა, პირველი საფეხური, რომლის დროსაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებების, მოვლენების ნახვისა და დაკვირვების შედეგად ადამიანის დიდი ტვინის ქერქში ყალიბდება ნანახისა და მოსმენილის დროებითი ნერვიული კავშირი. ფაქტების მოვლენების, საგნების აღქმა შეიძლება მოხდეს წინასწარ დასახული მიზნის საფუძველზე ანუ თვითნებურად და უნებურად. თვითნებური აღქმისათვის დამახასიათებელია აღქმული ფაქტების, გარემოებების, მოვლენების, საგნების შედარებითი სიზუსტე და სისრულე ,ვინაიდან ამ დროს ადამიანის ყურადღება გადატანილია ნანახისა და მოსმენილის დამახსოვრების სურვილზე.ამ თვისებას შედარებით მოკლებულია აღქმის ისეთი სახე,როგორიცაა უნებური აღქმა რომლის დროსაც ყურადღება გაფანტულია და აღქმა ხდება უნებურად.ადამიანი გარე სამყაროს გრძნობის ურგანოებით აღიქვავს.ფსიქოლოგების განმარტებით,გრძნობის ორგანო,ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება.[43] პირველია რეცეპტორის პეციფიკურად

[42] იხ. ,,მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აქტი.

[43] გ.დეკანოზიშვილი დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში; თბილისი 2009; გვ;36/37

აგებული გარე აპარატი,რომელიც გაღიზიანების მისაღებადაა მოწყობილი. მეორეა გამტარი ნერვი, რომელიც გაღიზიანებას გრძნობის ორგანოს მესამე ნაწილისკენ-თავის ტვინის შესატყვის სენსორულ არეებში მოთავსებული ცენტრებისკენ ატარებს. გრძნობის ორგანოები მკაფიოდ არიან ურთიერთისგან გამოყოფილი. ოთხი გრძნობის ორგანო-მხედველობის, სმენის, სუნის და გემოს. თითოეული მათგანი სხეულის გარკვეულ ადგილზეა მოთავსებული და შესატყვის გაღიზიანებას მხოლოდ მათი საშუალებით ვღებულობთ: სინათლის სხივებში მთელი ორგანიზმია გახვეული, მაგრამ, იგი თვალზე მოქმედებს. ასევეა ხმა, სუნი და შეიძლება გემოც. ამ მხრივ ე.წ მეხუთე გრძნობის ორგანოს-ჩვენი სხეულის ზედაპირს, კანს, ანუ როგორც მას უწოდებენ შეხების ორგანოს განსაკუთრებული ადგილი უკავია. როგორც გამოირკვა, იგი სრულიდაც არ არის მარტო ერთი გრძნობის ორგანო, მას ორგანოების მთელი რიგი აღმოაჩნდა: ცალკე წერტილები, რომლებიც სითბოსა და სიცივის გაღიზიანებას ღებულობენ და ტემპერატურის გრძნობის შესაძლებლობას იძლევიან; წერტილები, რომლებიც შეხების გაღიზიანებას აღიქვავენ და ტკივილის გამღიზიანებელი მიმღები ცალკე ადგილები. ამას უნდა დავუმატოთ გრძნობიერი ნერვების დაბოლოებები კუნთებსა და სახსრებში, როგორც სრულიად განსხვავებული გრძნობის კინესთეტური გრძნობის ორგანოები და დასასრულს, სხეულის წონასწორობის გრძნობის ორგანოც. გამღიზიანებლების ზემოქმედების შედეგად გრძნობის ორგანოში გარკვეული ფიზიოლოგიური პროცესი, ე.წ აღზნება ჩნდება იგი გამტარებელი ნერვის საშაუალებით თავის ტვინს აღწევს და განსაზღვრულ არეებში სათანადო სენსორულ ცენრებში ვრცელდება. იმ ფსიქიკურ პროცესს, რომელიც ამის შედეგად წარმოიქმნება, შეგრძნება ეწოდება. გარე სინამდვილის განცდა მხოლოდ შეგრძნების გზით ხერხდება; სხვა გზა ცოცხალ არსებას არ აქვს.[44] მიუხედავად ამისა, სინამდვილე მაინც არასდროს არ განიცდება ცალკე ფერების, ცალკე ტონების, თუ რომელიმე სხვა ცალკეული შეგრძნების სახით, როცა თუნდაც ფანჯარაში ვიყურებით და აყვავებულ ბუნებას ვაკვირდებით, ვერ ვიტყვით, რომ შეგრძნებათა მთელი ქაოსი გვეძლევა, მაგალითად: ამდენსა და ამდენ ფერს ან სინათლეს ვხედავთ, ან რაღაც ხმაული, თუ შრიალი გვესმის, არამედ ჩვენ ხეებს, მისი ფორმისა და ფერის, ნიავის დროს კი მათ შრიალით აღვიქვამთ. ერთი სიტყვით, სინამდვილეში ნაირნაირ შეგრძნებათა ქაოსი როდი გვეძლევა, არამედ ყოველთვის მხოლოდ გარკვეული თვისებების მქონე საგნები, რომლებიც ჩვენს გარეთ არსებულ სივრცეში იმყოფებიან და იქიდან აღიქმებიან. აქედან ცხადია,

[44] იხ. გ.დეკანოზიშვილი დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლის სამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში; თბილისი 2009; გვ.260

რომ მართალია, სინამდვილესთან ჩვენ მხოლოდ შეგრძნების გზით მივდივართ, მაგრამ არასოდეს არ ხდება, რომ იგი შეგრძნების სახით გვეძლეოდეს; სინამდვილეს კიარ შევიგრძნობთ, ჩვენ მას აღვიქვამთ იმიტომ, რომ შეგრძნება, მაგალითად ფერისა არ შეიძლება. სინამდვილეშ კი ჩვენ მხოლოდ ფერს კი არა, ყოველთვის ამა და ამ ფერის საგანს ვხედავთ. საგნის განცდა კი აღქმაა და არა შეგრძნება. ცოცხალ არსებას საგნებთან აქვს საქმე, თავის მოთხოვნილებებს, მათი საშუალებით იკმაყოფილებს და არა თავისთავად ფერის, სუნის, გემოს საშუალებით.[45] ამიტომ გასაგებია, რომ მას საგნების აღქმის უნარი შეუმუშავდა და არა შეგრძნებათა ქაოტური განცდისა. ეს პროცესი, რომელსაც ჩვეულებრივ აღქმას უწოდებენ ხანგრძლივად იყო ფსიქოლოგიური კვლევა, ძიების საგანი. აღქმა არის რთული ფსიქოლოგიური პროცესი. მის სიზუსტეზე, სისრულეზე, ნათელყოფაზე, სისწორეზე გავლენის მოხდენა შეუძლია მთელ რიგ გარემოებებს და მათ ერთობლიობას. კერძოდ, აღქმის სიზუსტეზე და სისრულეზე გავლენის მოხდენა,შეუძლია, როგორც სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს ისე ამ ფაქტორების გარკვეულ სინთეზს (ფიზიკურ და ფსიქიკურ მონაცემებს, მეტეოროლოგიურ პირობებს, დროის მონაკვეთებს, ასაკს, განწყობას, გამოცდილება, პროფესიას, ადამიანის ათვისების უანრს და ასე შემდეგ). ობიექტურს მიეკუთვნება ისეთი ფაქტორები, რომლებიც არ არის დაკავშირებული პიროვნებასთან და მის განწყობასთან. ამ ფაქტორებს შეუძლიათ აღქმის პროცესზე მოახდინონ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა. ძირითადად ობიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება აღქმის გარეშე პირობები, აღსაქმელი საგნების თავისებურებები და მათი ერთობლიობა; ესენია ცუდი მეტეოროლოგიური პირობები(თოვლი,ქარი,წვიმა,ძლიერი სიცხე, სიცივე), ხილვადობის არა ხელსაყრელი პირობები(მძლავრი განათება, განათების უკმარისობა, ნისლი, ღრუბელი), დანახული ობიექტების და მოვლენების სიშორე, მათი დანახვის ხანმოკლე დრო, ხმაურის ფონი, ძალიან მაღალი და დაბალი ტემპერატურა და ასე სუბიექტურს მიეკუთვნება ისეთი ფაქტორები, რომლებიც დაკვშირებულია პიროვნებასთან და მის განდობასთან. ამ ფაქტორებს მიეკუთვნება ჯანმრთელი ადამიანის გრძნობის ორგანოების ბუნებრივი ფიზიკური შეზღუდვები, ფიზიკური ნაკლი (სიყრუე, სიმუნჯე, დალტონიზმი), ფიზიკური მდგომარეობა (ავადმყოფობა, დაღლილობა, სიმთვრალე, ინტოქსიკაცია), ფსიქიკრი მდგომარეობა (სულიერი აღელვება, ნერვული სისტემის მოშლა), პროფესია (პროფესიონალიზმი) და ბოლოს განწყობა (ემოციურობა, შიში, უყურადღებობა, დარწმუნებულობა, დამოკიდებულება და სხვა). ჩვენების ფორმირების

[45] .ლომსაძე.მ „სისხლის სამართლის პროცესი“ მე-6 გამოცემა თბილისი 2016.გვ.205

პროცესის საწყისი ფაზა აღქმა, ხშირ შემთხვევაში სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გარკვეულ ერთობლიობაზე და შერწყმაზეა დამოკიდებული.[46] ამის გამო შედარებით სირთულეს წარმოადგენს დროის მონაკვეთის, მოძრაობის სიჩქარის, ფერისა და სივრცის აღქმა, რადგან ყოველივე ეს ობიექტურ და სხვა ფაქტორებთან ერთად პიროვნების სუბიექტურ წარმოდგენაზეა დამოკიდებული.ასე მაგალითად, ფერის შეგრძნების განსაზღვრისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს, ადამიანის როგორც სუბიექტური თვისებები (ამ ფერის აღქმის უნარი), ასევე, ობიექტური, რადგან მაგალითად წითელი ფერი შედარებით უკეთესად აღიქმება და შორს მანძილიდან ჩანს. დროის აღქმა ადამიანის სუბიექტურ მდგომარეობაზე, ემოციურობაზეცაა დამოკიდებული. დადებითი ემოციებისას დრო ჩქარა გადის, უარყოფითი ემოციებისას-ნელა. თუ ვიცით ორი ენა (ქართული და რუსული) და ადამიანს მისი გარეგნული შეხედულების მიხედვით აღვიქვავთ, როგორც გასაუბრების ობიექტს, მას იმ ენაზე დაველაპარაკებით, რა გარეგნული შეხედულებაც აქვს. (რუსული გარეგნობისას რუსულად) და ასე შემდეგ. ყოველივე ზემო თქმულიდან გამომდინარე, ჩვენებიც ფორმირების პირველი საფეხური, აღქმა, განხილულ უნდა იქნას, არა მარტო, როგორც მასზე მოქმედი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების ზეგავლენა, არამედ ასევე, როგორც ამ სუბიექტური და ობიექტური ზეგავლენების ერთობლიობა. ამიტომ საკითხის შესწავლა უდნა მოხდეს სუბიექტური და ობიექტური ზეგავლენების ერთობლიობით , რათა გამომძიებლებმა და სისხლის სამართლის პროცესით დაკითხვის უფლება მინიჭებულმა პირებმა იცოდნენ ის ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ადამიანების აღქმაზე. ეს საშუალებას მოგვცემს სწორად და შეუცდომლად გავაანალიზოთ მოცემული ჩვენება, თავის ბუნებრივად მონაყოლ თუ ხელოვნურ მოგონილ ფაქტებთან ერთად.[47] შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ ადამიანები ერთსა და იგივე მოვლენას ერთნაირად აღიქვავენ, მაგრამ რეალობაში ხშირად ასე არ არის. ყველა ინდივიდს ახასიათებს სამყაროს უნიკალური და თავისებური აღქმა. ეს განპირობებულია იმით, რომ ადამიანის მიერ გარე სამყაროს აღქმაზე გავლენას ახდენს გრძნობის ორგანოები და გარკვეულ სიტუაციებში მათი ფიზიკური შეზღუდვები. ე.ი. აღქმა ყოველთვის როდი იძლევა საგნის ობიექტურად სწორ, უტყუარ ასახვას. გარკვეულ პირობებშ, ადგილი გვაქვს საგნის არასწორ, დამახინჯებულ აღქმასთან. არასწორი აღქმის სამ სახეს ასხვავებენ: ა. „ფიზიკური ილუზიები-„ გრძნობის ორგანოების ფიზიკური შეზღუდვები

[46] ცინცაძე ზ. დაკითხვის ტაქტიკური საკითხები ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე, ჟ. ,,სამართალი' №6-7, 2003 წელი

[47] გ.დეკანოზიშვილი დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში; თბილისი 2009; გვ.36

, მათზე მოქმედი ზოგადი ფაქტორები; ბ. ; ფიზიოლოგიური ილუზიები""- და მოქმედი გარე ფაქტორები; გ. ;ფსიქოლოგიური ილუზიები - გრძნობის ორგანოების ფიზიკური შეზღუდვები, მათზე მოქმედი ზოგადი ფაქტორები, „ფიზიკური ილუზიები"- უპირველს ყოვლისა აღსანიშნავია ე.წ. გრძნობის ფიზიკური შეზღუდვა, მდგომარეობა, რომელშიც დამკვირვებელი იმყოფება და „ ფიზიკური ილუზიები"- ეს ის ილუზიებია, რომელსაც იწვევს საგნის მოცემულობის ფიზიკური პირობები. განვიხილოთ ყველაფერი ერთობლიობაში. შეგრძნებების შეზღუდულობის გამო ადამიანი გარე სამყაროს სრულიად ვერ აღიქვავს, მაგ. რადიო ტალღებს, ინფრაწითელ და ულტრა იისფერ სხივებს გარკვეული სიხშირის ბგერებს, რადიაციის გარკვეულ სახეობას. რეცეპტორული სისტემის შეზღუდულობის უნარი გვაიძულებს აღვიქვათ მხოლოდ ნაწილი იმისა, რაც ხდება ჩვენს გარშემო. გარე სამყაროს შეზღუდულ აღქმას მაშინაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც ჩვენს გრძნობებს ფიზიკურად შეუძლია მისი აღქმა. მხედველობა- მხედველობის შეგრძნებათა როლი ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებით დიდია. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის სინამდვიელსთან ურთიერთობაში, პირველ რიგში მხედველბით ხელმძღვანელობს. თვალის მთელი რუტინა (თვალის ბადურა) იძლება სინათლისა და ფერის შეგრძნების საშუალებას, მაგრამ მხოლოდ ცენტრალური ნაწილი იძლება საშუალებას, საგნები ცნობიერ აღქმამდე ავიყვანოთ, რადგან პერიფერიული ნაწილის შთაბეჭდილებანი ბუნდოვანია. ადამიანის მხედველობითი აღქმა უფრო შეზღუდულია, ვიდრე ზოგიერთი ცხოველისა. ადამიანის თვალს არ შეუძლია აღიქვას რაიმე ძალზე სწრაფი მოძრაობა, როგორიცაა გასროლილი ტყვიის მოძრაობა.[48] სიბნელეში ადამიანის მხედველობა უარესდება, ძნელი ხდება ფორმებისა და ფერების აღქმა ცუდად განათებული ნივთების გარჩევა რთულია გაბსაკუთრებით მაშინ, თ მათი ფერი ერწყმის სხვა ნივთების ფერს; სავსე მთვარის შუქზე ადამიანის ამოსაცნობას მისგან 10 მეტრის მანძილზე უნდა ვიმყეფობოდეთ; ღამის ნელა მოძრავი საგნების გარჩევა რთულია; მოძრავი სუბიექტი გვერდულად, პროფილში მდგომაა ადამიანმაც შეიძლება შეამჩნიოს და პირდაპირი ხედვით, ანფასითაც, მაგრამ უმოძრაო საგნების შემჩნევა გვერდულად, პროფილში მდგომი ადამიანისთვისაც შეუძლებელია. ფერის ზუსტად აღქმაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: თვალის ბადურის მიერ სხვადასხვა კუთხიდან ფერი ერთნაირად ვერ აღიქმება; განათებამ და შუქმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ფერის აღქმაზე; მუქი სათვალე, განსაკუთრებით

[48] გ.დეკანოზიშვილი დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში; თბილისი 2009; გვ.36

ღამით; წითელი და ლურჯი ობიექტების შედარებისას, ლურჯი ობიექტი უფრო დიდხანს ჩანს. თვალია სევე ძნელად უმკლავდება განათების სწრაფ ცვლილებას. მხედველობის აღდგენისათვის საჭიროა გარკვეული დრო, განათების ცვლილების პროცესში კი აღდგენა ძნელი ან საერთოდ შეუძლებელია. აუცილებელიცაა ცოდნა იმ ფაქტორებისა, რომლებიც გავლენას ახდენენ მხედველობის შეზღუდვაზე განათებული ადგილიდან ბნელში ან პირიქით სწრაფი გადასვლა ზემოქმედებას ახდენს აღქმაზე, ვინაიდან მხედველობის დაკარგვა, კონტროლის დაკარგვას უკავშირდება. გარდა ამისა მხედველობაზე გავლენას სხვადასხვა ფაქტორებიც ახდენენ. მათგან აღსანიშნავია მანძილი, ზომა; დამკვირვებლის მდებარეობა; ამინდი (წვიმა, ძლიერი ქარი,ნისლი); სულიერი და გონებრივი მდგომარეობა, მაგალითად შიში, მოდუნება(დეტალურად განხილულია შინაგან ფაქტორებში). სმენა-სმენა იძლევა ბგერის შეგრძნებას და შემჩნევის საშუაებას. ბგერა ორგვარია ხმაური ანუ ჩქამი და ტონი, რომელთა არევა ერთმანეთში შეუძლებელია. მაგრამ ადამიანის სმენაც შეზღუდულია. ხმაურიან ადგილას ყოფნის შემდეგ ადამიანს სმენის სრულად აღსადგენად გარკვეული დრო ესაჭიროება. გამოძიებელმა უნდა იცოდეს, რომ ჩაკეტილ პატარა სივრცეში ხმაურს, თუნდაც გასროლის ხმას, შეუძლია ადამიანს გარკვეული პერიოდით დააკარგინოს სმენა. სმენაზე გავლენას შემდეგი ზოგადი ფაქტორებიც ახდენენ: ხმის ადგილის წარმოქმნის დადგენა უფრო ადვილია ცალი ყურით; მანძილი ხმის წარმოქმნის ადგილამდე განისაზღვრება ხმის ინტენსივობასთან შეფარდებით; გამოცდილ ადამიანებს გაცილებით უადვილდებათ ხმის გარჩევა; ღამით ხმა შორ მანძილზე ისმის; ღამით ხმის გამომცემი ობიექტი უფრო დიდი ჩან. ყნოსვა და გემო-სუნისა და გემოს შეგრძნება გრნობის რეცეპტორებზე ქიმური ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნება.[49] საჭიროა იმ ასპექტების გათვალისწინებაც, თუ რა გავლენას ახდენს ყნოსვისა და გემოს აღქმაზე სხვადასხვა ფაქტორები; სუნის შეგრძნებას ძლერი ადაპტაცია ახასიათებს, ერთი და იგივე სუნის ხანგრძლივი მოქმედების შედეგად გრძნობელობა იმის მიმართაც ეცემა და ზოგჯერ დროებით ქრება კიდეც. რამდენიმე სუნის შერევის შედეგად ხდება ერთი სუნის მეირ მეორეს ჩახშობა, ზოგჯერ სუნის ნეიტრალიზაცია ან ახალი სუნის შეგრძნება.ბევრი ნივთიერების განსხვავება სუნით არის შესაძლებელი; ბენზინი და მსგავსი ნივთიერებები ადამიანს გარკვეული დროით ყნოსვას აკარგინებს; სურდოს დროს ადამიანს უჭირს სუნის აღქმა და ამავე დროს გემოს შეგრძნებას სუსტდება. გამომძიებელმა კარგად უნდა იცოდეს ის ფაქტორები, რომლებიც გემოზე ახდენენ ზეგავლენას, კერძოდ; გემოთი

[49] ფიფიაშვილი შ „კრიმინალისტიკა“ (ზოგადი ნაწილი) თბილისი 2013

შეიძლება დადგინდეს ტკბილი, მწარე, მჟავე და მარილიანი ნივთიერებები. შეგრძნებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს საზრდოს მოთხოვნილების მდგომარეობა. გარკვეულ ფარგლებში გემოს განცდა იცვლება იმის მიხედვით, შია ადამიანს თუ არა ან რამდენად შია. ამავე დროს გემოს შეგრძნებაში ადგილი აქვს ადაპტაციას და კიდევ უფრო გამოკვეთილი სახით კონტრასტის მოვლენას. მაგალითად; სოდიანი ხსნარით პირის გმაოცლების შემდეგ ჩვეულებრივი წყალი პირველ მომენტში ტკბილი გვეჩვენება.[50] მჟავის შემდეგ ოდნავ მოტკბო საჭმელი ძალიან ტკბილი გვეჩვენება და ა.შ. გემოს შეგრძნება ძალიან ფრთხილად უნდა იქნეს გამოყენებული, რათა თავიდან ავიცილოთ სახიფათო სიტუაციები, სხვა და სხვა მოწამვლები. გემოს ხშირად ადარებენ სუნს. სხეულის ზედაპირი, კანი-კანი ადამიანის ერთ-ერთი შეგრძნების ორგანოა, რომელსაც აღქმის განსაკუთრებულად რთული ფინქციები აკისრია. სხეულის ზედაპირს, კანის ფუნქციებს ფსიქოლოგები შეხების მოდალობებს უწოდებენ. ადამიანის შეხებათა შეგრძნებებს უკავშრებენ: შეხებისას: უბრალო შეხებისა და წნევის განცდას; სიმაგრისა და სირბილის განცდას; სიმახვილის და სიბლაგვის განცდას; სიმშრალისა და სინოტივის განცდას; ტემპერატურის შეგრძნებას; ვიბრაციის შეგრძნებას; კინესთეტური ანუ მოძრაობის შეგრძნებას; წონასწორობის ანუ სხეულის სივრცეში მოძრაობის შეგრძნება; ორგანული ანუ სასიცოცხლო პროცესებთან (სისხლის მიმოქცევა) სუნთქვა, საჭმლის მონელება და სხვა) დაკავშირებული შეგრძნებას შეხების მოდალობებზე ანუ შეხებით აღქმაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: ადაპტაცია გამღიზიანებლის მიმართ, (მაგ. ვერ ვგრძნობთ საათს, ხელს თუ არ ავამოძრავებთ; თბილი წყალი შეიძლება ცივად მოგვეჩვენოს, თუ მასში ხელს ჩავყოფთ მას შემდეგ, რაც ხელები ცხელ წყალში გვქონდა; არასტანდარტული მდგომარეობა (ჩხუბის დროს); შეხებით შეძლება ბევრი საგნის მოვლენის დადგენა (სითბო, სიცივე, ვიბრაცია, მუხტი და სხვა). შეგრძნებების ზოგად ფიზიკურ მახასიათებლებთან ერთად გარკვეულ როლს თამაშობს შინაგანი სუბიექტური ფაქტორები. მაგალითად, ადამიანის შეიძლება დალტონიკი იყოს, ჰქონდეს ცუდი მხედველობა ან დაქვეითებული სმენა. დაღლილობა და ასაკივ ახდენს გრძნობის ორგანოებზე გავლენას. გამომძიებელმა უნდა იცოდეს, რომ სმენის შეზღუდულობამ შეიძლება იმოქმედოს ჩვენების ზისუტეზე. ხშირად ადამიანები არ აღიარებენ საკუთარ ნაკლოვანებებს, რის გამოც

[50] გ.დეკანოზიშვილი დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში; თბილისი 2009

შესაძლოა მოცემული ჩვენება არა სარწმუნო აღმოჩნდეს. ამიტომ ზოგჯერ საჭიროა გადამოწდეს მოცემული ჩვენება.[51]

1.2 ფაქტების და გარემოებების დამახსოვრების თავისებურებები

დამახსოვრების დროს აღქმული საგნების, გარემოებების მოვლენების, ფაქტების შესახებ ცნობები ადამინაის დიდი ტვინის ქერქში მყარდება და უცვლელი რჩება გარკვეული პერიოდის განმავლობაში. გამომძიებლებს დაკითხვისას უპირველეს ყოვლისა აინტერესებთ დასაკითხის მოგონებები მოვლენებზე , რომლებიც მათ განიცადეს. ისე , როგორც აღქმაზე, დამახსოვრებაზეც გალენას ახდენს მთელი რიგირ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, რომელთა შესახებაც ზემოთ იყო აღნიშნული. დამახსოვრება ისე, როგორ აღქმა შეიძლება იყოს ორი სახის: თვითნებური და უნებური. პირველ შემთხვევაში დამახსოვრების დრო და ხარისხი უფრო დიდია და სრულყოფილი, რადგან პირი ცდილობს დაიმახსოვროს აღქმული საგნები და მოვლენები. დამახსოვრების ამ სახისათვის დამახასიათებელია გააზრებული მოქმედება. უნებური დამახსოვრების დროს აღქმული საგენბისა და მოვლენების დამახსოვრება ხდება ყოველგავრი ძალის დატანების გარეშე- მექანიკურად, ამიტოდამახსვორების დრო და ხარისხი შედარებით დაბალია. ადამიანის ფსიქიკაში აისახება არა მხოლოდ ამჟამად მოცემული გარემო საგნები, რომელნიც ამჟამად ფიზიკურად მოქმედებს მასზე, არამედ წარსულში განცდილიც, წარსული აღქმული, გაგებეული, გააზრებული და ასე შემდეგ. ინდივიდის მეირ წარსულში განცდილის ამა თუ იმ სახით ასახვა მის ფსიქიკაში მეხსიერების გამოვლინებას წარმოადგენს.[52] ადამიანს აქვს უნარი მოვლენების მოგონებებით ანუ ცნობიერი ხატების წარმოდგენის საშუალებით აღიდგინოს თავისი ადრეული დაკვირვებები ან ფაქტები, რომელშიც მას მონაწილეობა მიუღია. ასეთი „მოვლენების მოგონებები" ანუ „ხატები" ემყარება წარმოდგენებს, რომელტაც ინდივიდი ინახავს მოვლენის შესახებ. ზოგიერთი მეცნიერი მას აღნიშნავს გამოთქმით „მეხსიერების ხატები" ან „მეხსიერების ხატების სიზუსტე". ჩვენს შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს დაკითხვისას რეალური მოვლენების პიროვნების მეხსიერებიდან ამოღებასთან, ამ ტერმინით აღინიშნება ის ძირითადი, რისი გადმოცემაც უდნა ადამიანს ის, თუ რამდენად ზუსტად შეიძლება აღადგინოს ადამიანმა თავისი ადრეული დაკვირვებანი.[53] მოვლენების დამახსოვრების უნარი დამოკიდებულია სხვადასხვა მრავალი ხასიათის ფაქტორებზე და პირვნების ინდივიდუალურ

[51] იქვ.
[52] ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტების კრებული" თბილისი 1998 წელი
[53] გ.დეკანოზიშვილი დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში; თბილისი 2009

თვისებებზე. ერთი პიროვნება ადვილად იმახსოვრებს იმას რაც დაკავშირებულია მხედველობასთან, მეორე -იმას, რასაც კავშირი აქვს სმენადობასთან, მესამე- შედარებით უკეთ იმახსოვრებს დროს და მის ხანგრძლივობას, მეოთხე- საუბრის შინაარს, მეხუთესაგენბის ფორმასა და მოცულობას, მეექვსე- ყველაფერ იმას, რაც დაკავშირებულია მოძრაობასთან, მეშვიდე- ყველაფერ იმას, რაც დაკავშირებულია ემოციებთან, ამავე დროს, ერთი და იგივე პიროვნებას შესაძლებელია ჰქონდეს უნარი დაიმახსოვროს ნანახიც, მოსმენილიც, მოძრაობაც და ასე შემდეგ. რადგანაც ყველა ინდივიდი თავისებურად, სუბიექტური აქცენტით ღებულობს რეალობას, „მეხსიერების ხატებიც" ძალიან ძნელი განსასაზღვრია.[54] შემადგენლობის მხიედვით ისინი ცვალებადი და არამდგრადი არიან. დასაკითხის მოგონებები მოვლენებზე ანუ მეხსიერების ხატები, რომლებიც პიროვნების ინტერესს არ იპოყრობენ, სწრაფ წარმავალნი არიან. ბევერი ადამიანისთვის ძნელია გაიხსენოს, თუ ამ დღეს რა მოხდა, რას აკეთებდა რამდენიმე დღის უკან, მითუმეტეს რამოდენიმე წლის წინ, თუ მას შესაძლლებლობა არ მიეცა რეკონსტრუქცია გაუკეთოს იმ დღეს, დროს, რომლის განმავლობაშიც რაინე მნიშვნელობანი არ მომხდარა. მაგრამ მოვლენების მნიშვნელიბაც არ განსაზღვრავს მათ დიდხანს არსებობას მეხსიერებაში ე.წ. „მეხსიერების ხატად". დროის განმავლობაში ისენიც იცვლებიან, ან იკარგებიან. გვავიწყდება მოვლენების მიმდევრობა, გვერევა დეტალები ან ახლებულად ვაკავშრებთ მათ. როდესაც დრო გადის, ადამიანს ახსოვს მხოლოდ მოვლენის არსი, ძირითადი ნაწილი. ასე რომ, დროის ფაქტორი გავლენას ახდენს მეხსიერებაზე. პიროვნება შედარებით სრულად და ზუსტად იმახსოვრებს გარკვეულ ფაქტებსა და გარემოებებს მოკლე დროის მანძილზე. რაც უფრო დიდი დრო გავა აღქმიდან ჩვენების მიცემამდე, მით უფრო დაბალია დამხსოვრების სიზუსტე. გარდა დროისა, დამახსოვრებაზე გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები. მათ შორის თვით პიროვნების სურვილი, დაიმახსოვროს აღქმილი გარემოება. ასეთ შემთხვევაში დამახოვრების სისრულესთან გავქვს საქმე; აღქმული საგნების კარგი ცოდნა- რაც უფრო კარგად იცის პიროვნებამ აღქმული საგნებისა და ფაქტების პარამეტრები, მათი ნიშანთვისებები, მით უფრო აკრგად იმახსოვრებს მას; შტაბეჭდილების სიძლიერე- პიროვნება შედარებით კარგად იმახსოვრებს იმ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებმაც მასზე მოახდინეს დიდი შთაბეჭდილება და ნაკლებად ავტომატურად ხორციელდება. სელექციური მექანიზმი შეიძლება მივიჩნიოთ მეხსიერების პროცესის გნაუყრელ ნაწილად. ადამიანები

[54] გ.დეკანოზიშვილი დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში; თბილისი 2009

ადვილად იხსენებენ იმას, რაც პერსონალურად აღელვებთ; ან კიდევ ისეთ რამეს, რაც ადრეული გამოციდლების შედეგად აგეულ სამყაროს სურათს შეესაბამება. ამიტომ მეხსიერებაში ძირითადად რჩება დაკვირვებები და მოვლენები, რომელთა დახმარებითაც ადამაინები აცნობიერებენ საკუთარ მოტივებსა და მისწრაფებებს, ხოლო უმნიშვნელო მოვლენები უკვალოდ ქრება. მეხსირების სელექციური პროვესია დავიწყებაც. ამ დროს საოცარი ძალის მქონეა ადამიანის მიკერძოება და პატივ მოყვარეობა. რაც დრო გადის, მეხსიერების შინაარსი უფრო და უფრო ღებულობს პიროვნულად სასურველ სახეს. დამოკიდებულება წარსულთან ადამიანებს მოაგონებთ თავისივე სიზმარს. იშვიათად აცნობიერებნ, რომ მეხსიერება ატყუებთ. დროის ცვლასთან ერთად, რეალობის სურათს ცვლის ლოგიკურად შევსებული ნიღაბი, რომელსაც რეალურად მიიჩნევენ. ამასთან, თუ მათი მეხსიერების საკითხი დაისვა, ღრმად შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს. ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული კვლევებით დგინდება, რომ ადამიანი თითქმის ნახევარს ივიწყებს პირველ ნახევარ საათში, 1/3-ს 9 საათის განმავლობაში ¼ -3 დღის განმავლობაში და 1/5-ს 1 თვის განმავლობაში. როგორც აღქმის ხარვეზები ივსება ადრეული გამოციდლების მასალით, ასევე მეხსირება მარაგდება ისეთი მასალით, რომელიც აქტულაურ შინაარს არ ეხება. ასეთი შევსების შინაარსი ზოგჯერ განპირობებულია ინდივიუალური მოთხოვნილებებით. აგრეთე შესაძლოა სხვა მხრივ არსებული შნაარსის ლოგიკური სრუყოფა. სპეციფიკური არახელსაყრელი პირობებით შეცვლილი მეხსიერბა (მეხსირების ხატი) ხშირად იძენს სრულიად ახალ შინაარს, რომლის გაველნაც უნართავი ხდება. ჩვეულებრივ პირობებში დაკარგული ან ფრაგმენტირებული მეხსიერება ივსება შთაბეჭდილებებით.[55] ასე იოლად ხდება, როცა დაკვირევნის დროს არავინ იცის, რომ მოვლენა შემდეგში მნიშვნელოვანი გახდება. ზემოთ ვთქვით, რომ მეხსიერებას და აღქმას ბევრი საერთო აქვთ ერთმანეთთან: მეხსირება სელექციური პროცესი. მოვლენების მოგონებები (მოეხსირების ხატები) რომელიც გარკვეული გზით განმტკიცდება პიროვნების ფსიქიკაში, ხასითდება მეტი სტაბილურობით.[56] მეხსიერების დავიწყებული ნაწილის აღდგენა ხშირად ლოგიკურად მისაღები შინაარსით ხდება სხავდასხვა შემთხევვაში მივიწყებული შინაარსი აღდგენა ხდება პიროვნების მოთხოვნილებისა და ინტერესების შესაბამისაად. მეხსირების სისუსტე განიცდის მოსაზღვრე მასალის გავლენას, რაიმე მოვლენის გახსენების დროს შესაძლებელია დეტალური

[55] .გოგშელიძე რ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი მუხლის სრულყოფის საკითხებისათვის. ,,მართლმსაჯულება და კანონი'№2/3, 2007 წელი.
[56] ფიფიაშვილი შ „კრიმინალისტიკა" (ზოგადი ნაწილი) თბილისი 2013

ან მთლიანი ჩანაცვლება უფრო გვიანდელი მოვლენით. მთელი ცხოვრები მანძილზე გრძელდება მეხსიერების ცვლილება და უფრო მნიშვნელოვან ხასიათს იღებს ამ პროცესით გამოწვეული უზუსტოებები, ვიდრე აღქმი პროცესის დროსგამოწვეული შეცდომები. გადმოცემა არის ჩვენების ფორმირების პროცესის მესამე, ბოლო სტადია, რომლის დროსაც ხდება დამახსვორებული მოვლენის ფაქტების ნიშან თვისებათა გადმოცემა და აღდგენა. ინფორმაციის გადმოცემა კომუნიკაციის საშუალებით არის შესაძლებელი, რომელიც დამკითხავს და დასაკითხს შორის მყარდება. ასეთ დროს ადრე ნანახი მოვლენების ფაქტების და დავიწყებული ნიშან თვისებების აღდგენა ხდება, ასევე ხდება ჩვენების მომცემის ხასიათის გაგება რათა დავრწმუნდეთ არის თუ არა სწორი მისი მოცემული ჩვენება და ხმომ არ აქვს ადგილი პირადი ინტერესებით მიზნის ფაქტებით ტყულით, ფანტაზიით განზრახ დამახინჯებას.[57] დაკითხვის ძირითადი ამოცანა როგორც ვიცით ის არის, რომ მივიღოთ სწორი და ზუსტი ინფორმაცია დასაკითხი პირისგან მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. გარკვეულ წილად ამ ინფორმაციის მიღება ძნელი არის, თუნდაც მაშინ, როდესაც პიროვნება რომელსაც ვკითხავთ არ გვაძლევს აშკარად და არც აქვს სურვილი მოგვაწოდოს ზუსტი ინფორმაცია და ჩვენება. შეიძლება უარყოფითი შედეგები გამოიღოს ჩვენების ფორმირების პროცესზე კომუნიკაციის დამყარების არ ცოდნამ. კომუნიკაცია ჩვენ შემთხვევაში შეიძლება განიმარტოს, როგორც ინფორმაციის მიღება და გადაცემა, სრულად და სწორად ფორმირებული ჩვენების მიღების მიზნით. არასწორად დამყარებულმა კომუნიკაციამ შესაძლოა უარყოფით შედეგი გამოიღოს დაკითხვაში მონაწილე პირებისთვის და ვერ მოხერხდეს ჩვენების სწორად მიღება. ასეთ მხარეებს წარმოადგენენ დაზარალებულებინ, ბრალდებულები, გამომძიებლები მოწმეები, პოლიციელები და სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურიების წარმომადგენლები, რომლებსაც გამოკითხვაში და დაკითხვაში მონაწილეობის პროცესუალური უფლება აქვთ. დამკითხავებისათვის კომუნიკაციის ცოდნა და ასევე მისი უნარ ჩვევების ცოდნა განაპირობებს დასაკითხებიდან აღქმული და დამახსოვრებული მოვლენის, ფაქტების ნიშან თვისებათა აღდგენისა და გადმოცემის პროცესის კარგად წარმართვას, რათა დავასრულოთ ჩვენების ფორმირება და მივიღოთ ამ ყველაფრის სრული ჩვენება. თითოეული ჩვენგანის მამოძრავებელი ძალა არის ეფექტური კომუნიკაცია, არ აქვს მნიშვნელობა რა ტიპის კომუნიკაციაზე გვაქვს საუბარი, შესაძლებელია ეს იყოს: წერითი, დახვეწილი, დასახვეწი, ფორმალური, არაფორმალური შიდა

[57] ბერიკაშვილი დ. მოწმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში, გ. 30-31

კომუნიკაცია თუ გარე კომუნიკაცია. კომუნიკაციაეს არის ქმედება რომლის საშიალებითაც ინფორმაციის გადაცემა ერთი პირისგან მეორეზე ხდება ან პირიქით. საერთო სიმბოლოების დახმარებით შესაძებელია ინფორმაციის გადაცემა. კომუნიკაციის პროცესში მონაწილეობას იღებს გამგზავნი ანუ ინფორმაციის გადამცემი პირი, მესიჯი ანუ ინფორმაცია, ინფორმაციის მიმღები და საკომუნიკაციო არხი. როგორც ავღნიშნეთ კომუნიკაცია შეიძლება განისაზღვროს , როგორც პროცესი ,რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის გადაცემა ერთი პირისგან მეორეზე საყოველთაოდ ცნობილი სიმბოლოების დახმარებით. ეს სიმბოლოები შეიძლება იყოს მხედველობითი, სმენითი, გააზრებული და გაუაზრებელი. [58] ძირითადი საკომუნიკაციო პროცესი არის ინფორმაციის გაგზავნისა და მიღების სისტემა. გამგაზვნი არის პირი, რომელიც ქმნის და კოდირებას უკეთებს ინფორმაციას, გზავნილს (მესიჯს) და შემდეგ უგზავნის მას მიმღებს. გზავნილი, ინფორმაცია არის მომზადებული შეტყობინება. ხდება გზავნილის კოდირება შემდეგი სიმბოლოებით, მაგ: ვერბალური, წერითი, ან არავერბალური ფორმებით-და საკომუნიკაციო არის საშუაებით ხდება მისი გადაცემა მიმღებზე. ყველაზე ხშირად გამოიყენება უშუალო (პირისპირ) ურთიერთობა; კომუნიკაციის სხვა სახეებია, მაგ; წერილები, გაზეტები,სატელეფონო საუბრები, ტელევიზია, ელექტრონული ფოსტა, წიგნები. პირისპირ შეხვედრის დროს, ქვეცნობიერად ჩნდება თითქმის შეუღწეველი კედელი ბარიერი. რას ფიქრობს სხვა დამიანი? რის გაკეთებას შეეცდება ის? შეიძლება თუ არა ადგილი ჰქონდეს ვერბალურ ან ფიზიკურ წინააღმდეგობას, კონფრონტაციას? არც ერთ მხარეს არ შეუძლია წინასწარ ივარაუდოს, რა მოხდება მომდევნო წამების განმავლობაში.[59]

ნებისმიერ შემთხვევაში, პოლიციის ოფიცერი გამოკითხვის პროცესში უნდა ეცადოს მოიძიოს მაქსიმალურად მეტი ფაქტობრივი და საიმედო ინფორმაცია, რომელიც გამოძიებაში და დანაშაულის წარმატებით გახსნაში დაეხმარება, ამისათვის კი საგამოძიებო ორგანოებს უნდა ჰქონდეს მყარი სამართლებრივი ბერკეტები მოიძიოს, გამოკითხოს და დაკითხოს მოწმეები საგამოძიებო ორგანოებში, შეაფასოს მათი ჩვენებების ვალიდურობა და სანდოობა და ამის შემდეგ გადაწყვიტოს წარადგენს თუარა მათ ჩვენებებს სასამართლოში, მას არ უნდა უწევდეს მაგისტრანტი მოსამართლის წინაშე შუამდგომლობის დასაბუთება რაც გარკვეულწილად დროში იწელება და შესაძლოა დაიკარგოს

[58] ბერიკაშვილი დ. მოწმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში, გ. 31-32

[59]დეკანოზიშვილი გ დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში; თბილისი 2009;

მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან სულაც მაგისტრი მოსამართლის წინაშე მოწმეების დაკითხვის შედეგად დადგინდეს რომ აღნიშნული მოწმეები სულაც არ ფლობდნენ საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას და დაიხარჯოს როგორც გამოძიების ისე სასამართლოს დრო და რესუსრსი უშედეგოდ. თვითმხილველთა ფსიქოლოგიის გამოკვლევამ დაადგინა, რომ თვითმხილველის მეხსიერება არ არის აღქმული მოვლენების მუდმივი ჩანაწერი და შეიძლება გაფუჭებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით. მოწმეების მნიშვნელოვანი ფაქტების მოგონებები არა მხოლოდ დროთა განმავლობაში უარესდება, არამედ შეიძლება უარყოფითად დამახინჯდეს ორიგინალური გამოცდილების შემდეგ შემოტანილი ახალი ინფორმაციით მოწმეების გარეშე ვერ იქნება ეფექტური სისხლის სამართლის სისტემა. მიუხედავად ამისა აშკარა ფაქტია, რომ მოწმეების წინაშე გამოძიებისთვის მრავალი დაბრკოლება დადგა. საუკეთესო მტკიცებულება, რომელიც მათ შეუძლიათ უზრუნველყონ, განსაკუთრებით დაუცველი გახდა, ასევე გაიზარდა მოწმეების დაშინების ალბათობა, მანამ სანამ საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელს სასამართლოს წინაშე უწევს შუამდგომლობის დაყენება. გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, და არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი, და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოწმე უნდა დაიკითხოს გონივრულ ვადაში, მაგრამ სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ეს ვადა ასევე შეიძლება გაგრძელდეს მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილებით, თუ მოწმე დადგენილ ვადაში საპატიო მიზეზით ვერ ცხადდება სასამართლოში დამნაშავე პირებს საკმარისი დრო და თავისუფლება აქვთ იმისთვის რომ დააშინონ ან/და მოისყიდონ მოწმეები.დაკითხვის ნორმალური პირობების შექმნას დადებით მნიშვნელობა აქვს, რადგან შეგვიძლია მივიღოთ გარკვეული სწორი, სრული და ობიექტური ჩვენება.[60] მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის და ბრალდებულის ჩვენება მტკიცებულების რთული სახეა, რომელიც ზოგჯერ ფორმირდება ისეთი ადამიანების განგებაში, რომლებიც ვერ ათვითცნობიერებენ მომხდარს, მაგრამ ამავე დროს განსაკუთრებით საჭიროა ობიექტური რეალობის დადგენისათვის. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ სისხლის სამართლის საქმეების ბედი დამოკიდებულია ამ ჩვენებებზე,

[60] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 114

რადგან უმეტეს წილად ისინი წარმოადგენენ მტკიცებულების დამოუკიდებელ სახეს, გამოძიების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოწმეთა ჩვენებები ყოველთვის არ შეიძლება იყოს სანდო და არასაკამათო მტკიცებულება. ერთ-ერთი ძირითად პრობლემას, ცრუმოწემობასთან ერთად წარმოადგენს მისი მცდარობა. გამოკითხული გამომძიებლების 80% აღნიშნავენ, რომ პერიოდულად მოწმისა და დაზარალებულების ჩვენებებში აწყდებიან შეცდომებს, თუ არ ჩათვლიან ცრუ მოწმეობას. 13% აღნიშნავს ასეთ სიტუაციას, როგორც მუდმივ მოვლენას, 4% იშვიათად ხვდება ცდომილებებს ჩვენებებში. [61]დანაშაულის წარმატებული გამოვლენისა და გამოძიების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია მსხვერპლთა, მოწმეებისა და ეჭვმიტანილების ეფექტური გამოკითხვა.

1.3.მოწმის მიერ ფაქტებისა და გარემოებების გადმოცემა

გადმოცემა არის ჩვენების ფორმირების პროცესის ბოლო მესამე სტადია, რომლის დროსაც ხდება აღქმული და დამახსოვრებული მოვლენის, ფაქტების, ნიშანთვისებათა აღდგენა და გადმოცემა. ინფორმაციის გადმოცემა ხდება კომუნიკაციის საშუალებით, რომელიც მყარდება დასაკითხსა და დამკითხავს შორის. ამ დროს საჭირო ხდება ადრე ნანახი მოვლენების, ფაქტების, საგნების პარამეტრების და დავიწყებული ნიშანთვისებების აღდგენა, ასევე საჭირო ხდება ჩვენების მომცემის ხასიათის ამოცნობა, რათა დაკითხვის ჩამტარებელი პირი დარწმუნებული იყოს, აძლევს თუ არა დასაკითხი სწორ ჩვენებას, ხომ არა აქვს ადგილი პირადი დაინტერესების მიზნით ფაქტების განზრახ დამახინჯებას, ტყუილს, ფანტაზიას. როგორც ვიცით, დაკითხვის ძირითადი ამოცანა სწორედ ის არის, რომ დასაკითხი პირისაგან მიღებულ იქნას სწორი და ზუსტი ინფორმაცია მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. ამ ინფორმაციის მიღება გარკვეულწილად ძნელიც კი არის ცალკეულ შემთხვევებში, თუნდაც მაშინ, როდესაც დასაკითხი პიროვნება აშკარად არ იძლევა და არც სურს მისცეს ზუსტი ჩვენება.[62]

თავი IV. გამოძიების ეტაპზე მოწმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების შედარებით სამართლებრივი ანალიზი

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საინტერესოა, როგორია გამოძიების ეტაპზე მოწმეთა დაკითხვის წესი სხვადასხვა ქვეყნებში, როგორ

[61] ბერიკაშვილი დ. მოწმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში

[62] დეკანოზიშვილი გ; დაკითხვის თანამედროვე პრობლემები
სისხლისსამართალწარმოებაში
და კრიმინალისტიკაში; გვ62; თბილისი 2010

ხორციელდება სამართლებრივი მიდგომა მოწმეების მიმართ, რომელიც არ თანამშრომლობენ გამოძიებასთან. გამოვლინდეს ის პრობლემური საკითხები, რაც შედარებით-სამართლებრივი ანალიზის ჭრილში დაკავშირებულია საქართველოში გამოძიების ეტაპზე მოწმეთა დაკითხვის წესის ცვლილებებთან და შეძლებისდაგვარად, გაეცეს პასუხი კითხვას, თუ რამდენად შეესაბამება ეს ცვლილებები მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს, რომელზეც დაფუძნებულია დღევანდელ რეალობაში საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის პროცესი.

1.1.მოწმის დაკითხვა ამერიკის შეერთებულ შტატებში

თუ გადავხედავთ სხვა ქვეყნების გამოცდილებას, მაგალითისთვის, აშშ-ში მოწმის გამოკითხვა ნებაყოფლობითია. ამ წესიდან გამონაკლისი ეხება ე.წ. `მნიშვნელოვანი მოწმის ინსტიტუტს (Material witness) პოლიციას თუ აქვს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის ინფორმაცია, რომ პირი ფლობს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, შეუძლია დააკავოს იგი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. დეპონირებული ჩვენების მიღების შემდეგ დაკავებული გათავისუფლდება. დაკავების ხანგრძლივობაზე კი სასამართლო კონტროლი ხორციელდება კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც ახასიათებს აშშ-ში დაკითხვის ჩატარების საპროცესო წესს, არის მოწმის სავალდებულო დაკითხვა ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიურის წინაშე. ამ შემთხვევაში პროკურორი მოსამართლისა და ადვოკატის გარეშე, დახურულ სხდომაზე დაკითხავს მოწმეს 16-დან 23-მდე მსაჯულთა თანდასწრებით. ამასთან, ეს საგამონაკლისო წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესი.[63] ამერიკის შეერთებულს შტატებში მოქმედებს ე.წ ,,საპოლიციო გამოძიება''. საპოლიციო გამოძიების სტადიაზე , ყველაზე გავრცელებულ საგამოძიებო მოქმედებას წარმოადგენს მოწმის გამოკითხვა, გასაუბრება, ინტერვიუ.[64] აშშ-ში პოლიციას ეკრძალება იმ პირების დაკავება ან დაპატიმრება, რომლებიც მხოლოდ მოწმეები არიან და რომელთა მიმართ არ არსებობს დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი. მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისი. „მნიშვნელოვანი მოწმის“ ნორმების საფუძველზე, რომლებიც მოიპოვება როგორც ფედერალურ, ისე შტატების უმრავლესობის კანონმდებლობაში, პოლიციას შეუძლია დააკავოს პრაქტიკულად ნებისმიერი პირი, თუ მას აქვს დასაბუთებული

[63] Federal Rules of Criminal Procedure (1946) amended to December 2015, rule 6.

[64] Madeleine Colvin & Jonathan Cooper, Human Rights in the Investigation and Prosecution of crime, Oxford, 2009, p.179.

ვარაუდი, რომ ეს პირი ფლობს ინფორმაციას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის გამოძიებისათვის.[65]

პოლიციელი მოწმესთან ანსხვა პირთან გამოკითხვის შედეგს აფიქსირებს ე.წ. პოლიციის თანამშრომლის უბის წიგნაკში, შემდეგ კი, ეს მონაცემები გადააქვს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ანგარიშში, რომელსაც გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს პროკურორს. თუ პროკურორის გადაწყვეტილებით, საქმე არსებითად განსახილველად წარიმართა სასამართლოში, პოლიციელი, რომელმაც ჩაატარა მოწმის გამოკითხვა, აღნიშნული გამოკითხვის ირგვლივ, სასამართლოში ფიცის ქვეშ აძლევს ჩვენებას. მოწმის გამოკითხვის დროს, ყველაზე დიდი ყურადღება ექცევა გასაუბრების პირობებს, რათა არ მოხდეს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.[66] აშშ-ში მოქმედი მნიშვნელოვანი მოწმის მარეგულირებელი დებულებების მიზანია, მოწმის გამოცხადების უზრუნველყოფა სასამართლოში ჩვენების მისაცემად და არა დასაკითხად.

აშშ-ში 1930-იან წლებში არსებულმა წამების პრაქტიკამ გაანელა ჩვენების მოწმის იძულების ყოველგვარი სურვილი.[67] არსებობს მოწმეთა დაკითხვის კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომლებიც მხოლოდ აშშ-ს ახასიათებს. აშშ გახლავთ საერთო სამართის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც არ გაუუქმებია „მსაჯულთა დიდი კოლეგია“ (grand jury). მსაჯულთა დიდ კოლეგიას უფლება აქვს, იძულებით უზრუნველყოს მოწმის გამოცხადება მისი დაბარების გზით იმისათვის, რომ რაიონულმა პროკურორმა დაკითხოს მოწმე მოსამართლის ანდა მცველის გარეშე, მაგრამ მსაჯულთა თანდასწრებით. მსაჯულთა რაოდენობა უნდა იყოს 16-დან 23-მდე. სამართალწარმოება მსაჯულთა დიდი კოლეგიის წინაშე საიდუმლოა და მტკიცების წესი შედარებით მოქნილია, რათა მოწმეს ჰქონდეს უფრო თავისუფლად საუბრის საშუალება. მსაჯულთა დიდი კოლეგიის მიზანია, ხელი შეუწყოს საქმის გამოძიებას და შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა საქმის გარემოებები „დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტს. მსაჯულებმა უნდა გამოიტანონ დასკვნა, არის თუ არა საბრალდებო აქტი „ნამდვილი ბრალდება“ და აქედან გამომდინარე, შეიძლება თუ არა გაგრძელდეს საქმის განხილვა სასამართლოში. მსაჯულთა დიდი კოლეგიის წინაშე სამარტალწარმოება სულ უფრო

[65] Carlson, R.L. and M.S. Voelpel (1980). "Material Witness and Material Injustise". Washington University Law Quarterly 58(1): 1-53., გვ.3.

[66] გუცენკო კ.ფ. /გოლოვკო ლ.ვ. / ფილიმინოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, 2007, გვ.286.

[67] Leo, R. (2004). "The Third Degree and Origins of Psychological Interrogation in the United States". Interrogations, Confessions, and Entrapment

იშვიათობას წარმოადგენს და დასასვებია ისეთ შემთხვევაში, როდესაც „საჯარო ინტერესი ამას მოითხოვს“, ისიც,შტატების მთელი რაოდენობის ნახევარში.[68]

ამ წესის ალტერნატივის სახით ზოგიერთ შტატში მოქმედებს წინასასამართლო სხდომის წესი, როდესაც მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებები შეიძლება სემოწმდეს ჯვარედინი დაკითხვით მოსამართლის და არა - მსაჯულების წინაშე. აგრეთვე, არანაკლებ საინტერესო და ღირსეული როლი აქვს მოსამართლეს ამერიკის შეერთებულ შტატებსი. მას საკმაოდ ნეიტრალური და უშფოთველი პოზიცია უკავია და იგი ერევა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: ა) საჭიროა რაიმე ფაქტის დაზუსტება, დაკონკრეტება, გარკვევა; ბ) ჯვარედინი დაკითხვა მხარის მიერ ბოროტად არის გამოყენებული და ზიანს აყენებს მოწმეს. სასამართლო ახორციელებს მოწმის დაკითხვის მთლიანი პროცესის მიზანშეწონილ კონტროლს და ამ მიზნის მისაღწევად ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: ა) უზრუნველყოფს, რომ თხრობისა და შეკითხვების დასმის პროცესი იყოს მაქსიმალურად მიმართული სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად; ბ) იღებს ზომებს იმისათვის, რომ არ დაუშვას დროის ფუჭი დაკარგვა; გ) ცდილობს თავიდან აიცილოს მოწმის შეწუხება ან მისი დამცირება.[69]

1.2.მოწმეთა დაკითხვის თავისებურებები ევროპის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით

1.2.1მოწმეთა დაკითხვის თავისებურებები ინგლისისა და უელსის კანონმდებლობის მიხედვით

ინგლისში და უელსში პოლიციას არასდროს ჰქონია უფლება მშვიდობიანობის დროს დაეკავებინა ან რაიმე იძულება მიეყენებინა მოწმეთათვის. შესაბამისად მოწმის გამოცხადება პოლიციის განყოფილებაში და ჩვენების მიცემა პოლიციისთვის მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი აქტი შეიძლება იყოს. ჩვეულებრივ, იგივე წესი მოქმედებს სასამართლოში საქმის განხილვისას. თუმცა, მოწმე შეიძლება ვალდებული იყოს გამოცხადდეს სასამართლოში პროცესზე დასასწრებად, თუ მას ჩაბარდა დაბარების უწყება. მხარეთა შუამდგომლობით, მაგისტრატთა სასამართლოს უფლება აქვს, მოითხოვოს მოწმის გამოცხადება ჩვენების მისაცემად ან მტკიცებულების სახით ნივთის, ან დოკუმენტის წარმოდგენა. ამ წესის თანახმად, მხარემ,

[68] Faifax Jr, R.A. (2010). "Grand Jury Innovation: Toward a Functional Makeover of the Ancient Bulwark of Liberty". William & Mary Bill of Rights Journal 19(2): 339-368.

[69] მოწმის სამართლებრივი მდგომარეობა და დაკითხვის წესი სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას, ჯურნალი "ინტელექტუალი", 2008 წელი, #6, გვ.3

რომელსაც სურს, რომ სასამართლომ გამოსცეს მოწმის დაბარების უწყება, უნდა დააყენოს შესაბამისი შუამდგომლობა, რაც შეიძლება სწრაფად მას შემდეგ, რაც შეიტყობს საამისო საფუძვლების არსებობას. შუამდგომლობის ავტორი მიუთითებს მოწმის ვინაობას და განმარტავს თუ რა ჩვენების მიცემა შეუძლია მას, რატომ შეიძლება ეს ჩვენება იყოს არსებითი მნიშვნელობის და რატომ არის მართლმსაჯულების ინტერესში ამ უწყების გამოცემა.[70] მოწმის დაბარების უწყების გამოცემის პროცედურა გაწერილია „სისხლის სამართლის საპროცესო წესებში". ამ წესების თანახმად, მხარემ, რომელსაც სურს, რომ სასამართლომ გამოსცეს მოწმის დაბარების უწყება, ბრძანება ან ორდერი, უნდა დააყენოს შესაბამისი შუამდგომლობა რაც სეიძლება სწრაფად მას შემდეგ, რაც შეიტყობს საამისო საფუძვლების არსებობის შესახებ. შუამდგომლობის აღმძვრელ მხარეს ეკისრება მოწმის ვინაობის მითითება და იმის განმარტებამ თუ რა ჩვენების მიცემა შეუძლია მას, რატომ შეიძლება ეს ჩვენება იყოს არსებითი მნიშვნელობის და რატომ არის მართლმსაჯულების ინტერესებში ამ უწყების, ბრძანების ან ორდერის გამოცემა. თუ ამგვარად დაბარებული მოწმე არ გამოცხადდება, იგი შეიძლება დააკავონ და მიიყვანონ სასამართლოში.[71] რაც შეეხება ბრალდებულის ჩვენებას, იგი ყველა შემთხვევაში, ჩვენებას იძლევა ფიცით. არ შეიძლება მისი იძულება ჩვენების მიცემაზე, მაგრამ თუ კი მან გადაწყვიტა ჩვენების მიცემა, მთლიანად ექვემდებარება მოწმის დაკითხვის პროცესუალურ წესებს. თვითბრალდების პრივილეგიის წესები არავინ არის ვალდებული, ჩვენება მისცეს თავისი თავის საწინააღმდეგოდ და მოწმის პრივილეგია უფლება - არ მისცეს ჩვენება თავისი ახლობლის წინააღმდეგ, ამ წესებიდან არსებობს გამონაკლისები, რომლებიც გარკვეული სახის დანაშაულობებს შეეხება.[72] მოწმის დაკითხვა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის ფორმით, დამცველის მიერ, ღია სასამართლო სხდომაზე, მაგისტრატი ან რაიონული მოსამართლის წინაშე ან მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულების წინაშე (არსებითი განხილვის შემთხვევაში). არსებობს ძალზე შეზღუდული საგამონაკლისო შემთხვევები, როდესაც მოწმე არის ძალიან ახალგაზრდა ან დაუცველი და ექვემდებარება „ცპეციალურ წესებს", რა შემთხვევაშიც, მისი პირდაპირი და ჯვარედინი წესით დაკითხვა შეიძლება სასამართლო სხდომამდე, ხოლო დაკითხვა ფიქსირდება ვიდეო ჩაწერით. იგივე ნორმები ვრცელდება მოწმეზე,

[70] სისხლის სამართლის საპროცესო წესები. 2014 Restatment.პუნქტი 28(3)
[71] სისხლის სამართლის საპროცესო წესები, 2014 Restatement, პუნქტი 28(3)
[72] H.johnson, N.Wolfe, M.jones. History of Criminal Justice (4 Edition). Publishing: Matthew Bender & Company. 1998 და საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო",თბილისი 2013, გვ.351-352;

რომელიც შეიძლება გარდაიცვალოს სასამართლოს სხდომამდე.[73] შესაბამისად მოწმეთა პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა ინგლისსა და უელსში ტარდება საჯაროდ, ღია სასამართლო სხდომაზე, დასაშვებია, მოწმის იძულება მისი მხოლოდ სასამართლო პროცესზე და არა სხვა ადგილას გამოცხადების მიზნით. სამეფო პროკურატურას და პოლიციას არ აქვთ უფლება, სისხლის სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე, დაკითხონ მოწმეები სასამართოს გარეთ. მათ შეუძლიათ მხოლოდ მოწ-მეთა გამოკითხვა მათივე თანხმობით. სამართალდამცავ ორგანოებს არ აქვთ არანაირი უფლება და საკანონმდებლო ბერკეტი, აიძულონ მოწმე ითანამშრომლოს გამოძიებასთან.[74]

1.2.2.მოწმეთა სამართლებრივი მდგომარეობა ჰოლანდიაში

ჰოლანდიის სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი გახლავთ ის, რომ გამოძიების ეტაპზე მიღებული მოწმის ჩვენება შეიძლება გამოყენებული იქნას მტკიცებულების სახით ბრალდების დასამტკიცებლად, რაიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვების გარეშე. ამჟამინდელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლიდან მოკლე ხანში, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა ირიბი ჩვენების მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა. წინასასამართლო ჩვენების გამოყენება არათუ დასაშვებია, არამედ ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენს. წინასასამართლო ჩვენება მტკიცებულების სახით გამოიყენება ძირითადად მაშინ, როდესაც მოწმე არ ცხადდება სასამართლო პროცესზე. მოწმეთა წინასასამართლო ჩვენებები გამოიყენება მტკიცებულების სახით ისე, რომ მოწმე არ აძლევს ჩვენებას სასამართლოში, რაც პრობლემურად არ მიიჩნევა. გამომძიებელი, როგორც წესი, პოლიციის თანამშრომელია. გამომძიებლის მიერ წინასასამართლო დაკითხვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ნაკლებად არეგულირებს. ერთადერთი ნორმა პოლიციის მიერ დაკითხვის წარმოებასთან დაკავშირებით ეხება იმას, რომ მოწმეს შეუძლია სისხლის სამართლის დანაშაული შეატყობინოს პოლიციას. ვინაიდან ასეთი შეტყობინება ხშირად სისხლის სამართლის გამოძიების დაწყების თავდაპირველი მიზეზია, დაცვის მხარე, როგორც წესი, არ მონაწილეობს პოლიციის მიერ პირის პირველად დაკითხვაში. თუ მოწმე იკითხება მოგვიანებით პოლიციის მიერ წარმოებული გამო-ძიების ეტაპზე, არც ვალდებულება და არც პრაქტიკა არსებობს იმისა, რომ დაცვის მხარე მოიწვიონ დაკითხვაში მონაწილეობის მისაღებად. დაკითხვას არც პროკურორი ესწრება. თუ მოწმე პოლიციის მიერაა

[73] "ახალგაზრდა პირების მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართალში მტკიცებულებების შესახებ" 1999 წლის კანონი, ნაწილი2, თავი1, მუხლი27;
[74] მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში.,რ ვოლგერი.,2015.,6-9.

გამოძახებული დასაკითხად, იგი არ არის ვალდებული გამოცხადდეს დაკითხვაზე. მოწმე არ დებს ფიცს და აქედან გამომდინარეარც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება ცრუ ჩვენების მიცემისთვის. მოწმის მიერ გაკეთებული განცხადებები ფიქსირდება ოფიციალურად პოლიციის ოქმში. თუ მოწმეს იძახებენ დასაკითხად გამომძიებელთან, მოწმე არ არის ვალდებული გამოცხადდეს ან მისცეს ჩვენება. შესაბამისად, პირის მიერ ჩვენების მიცემა პოლიციისთვის ატარებს ნებაყოფლობით ხასიათს. თანხმობის შემთხვევაში, პოლიციელი არ აფრთხილებს ცრუ ჩვენების მიცემისთვის პირს პასუხისმგებლობის თაობაზე. ეს კი იმით არის განპირობებული, რომ პოლიციელთან ჩვენების მიცემისას მოწმე არ დებს ფიცს. მოწმის შემდგომ დაკითხვას აწარმოებს გამომძიებელი მოსამართლე. დაკითხვის ამ ეტაპზე გამოცხადება სავალდებულოა. აგრეთვე მოწმე დებს ფიცს, როდესაც გამომძიებელი მოსამართლის წინაშე აძლევს ჩვენებას. ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენების შემთხვევაში, ცრუ ინფორმაციის მიცემაზე პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. გამომძიებელი მოსამართლე ნეიტრალური ფიგურაა. პროცესის ორივე მხარეს აქვს თანაბარი შესაძლებლობა სამართალწარმოების ამ ეტაპზე გამომძიებელი მოსამართლის წინაშე დაკითხოს პირი მოწმედ. მოწმეთა დაკითხვის მესამე ეტაპი მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, სადაც გამოცხადება, კითხვებზე პასუხი, ფიცის დადება სავალდებულოა და ნებისმიერ შემთხვევაში მათგან თავის არიდება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.[75]

1.2.3.მოწმეთა დაკითხვის თავისებურებები გერმანიაში

გერმანიის კანონმდებლობით, მოწმის ფორმალური დაკითხვა ხდება სასამართლოში, საჯაროდ არსებითი განხილვის სხდომაზე, სადაც ჯერ კითხავს სვამს მოსამართლე, ხოლო შემდეგ კითხვები შეიძლება დაუსვან მხარეებმა. პოლიციას არ აქვს მოწმის ფორმალურად დაკითხვის ან მისი გამოძიებასთან თანამშრომლობის იძულების უფლება-მოსილება.პოლიციასთან თანამშრომლობა მთლიანად მოწმის ნებაზეა დამოკიდებული. ეს არის გამოძახილი გერმანიის იურისპრუდენციის პრინციპებში იმ ბოლოდროინდელი ცვლილებებისა, რომ მოწმეებს აღარ განიხილავენ, როგორც მტკიცებულების ობიექტს, არამედ როგორც სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტს.[76]

მოწმის სიცოცხლის და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება დაცულია თვითგამორკვევისა და მონაცემთა დაცვის უფლება.

[75] ბას დე ვილდე, მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში., თბილისი,2015.,51-62.

[76] Huber, B. (2008). Germany. Criminal Procedure in Europe. R. K> Vogler and B. Huber. Berlin, Duncker
&Humblot: 269-372., გვ. 339;

გერმანიაში, მოწმეს სამი ძირითადი ვალდებულება აქვს: ა) გამოცხადდეს პროკურორთან (და არა პოლიციაში), თუ მას დაიბარებენ; ბ) მისცეს ჩვენება, რომელიც არის სიმართლე (გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქვს უფლება, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე); გ) დაადასტუროს მიცემული ჩვენება ფიცის ქვეშ მოსამართლის წინაშე, თუ სასამართლო ამას მოითხოვს.[77]

კონტინენტური სამართლის სისტემის სხვა ქვეყნებთან შედარებით, განსხვავებული პოზიცია უკავია გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას. ამ ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამორიცხავს, საქმეთა სასამართლოში განხილვას, მხარეთა შორის შეჯიბრებითობის პრინციპის რეალურად განხორციელებას, რადგან მოსამართლეს მინიჭებული აქვს ფართო უფლებები არა მარტო სასამართლო განხილვის ხელმძღვანელობისას, არამედ სასამართლო გამოძიების მთელ მსვლელობაში. მოსამართლე ვალდებულია საქმეზე დაადგინოს ჭეშმარიტება. მხოლოდ მისი თანხმობითაა შესაძლებელი შეფენმა (ხალხის წარმომადგენელმა), პროკურორმა, ადვოკატმა კითხვები დაუსვან განსასჯელს, მოწმეს, ექსპერტს; უფრო მეტიც, მხოლოდ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის თანხმობითაა შესაძლებელი აღნიშნულ პირთა დაკითხვაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პროკურორისადა ადვოკატის ურთიერთშეთანხმებით, სასამართლო პროცესზე მოწვეულია მოწმე ან ექსპერტი.[78] მოწმეს, რომელიც სასამართლოში აძლევს ჩვენებას, შეიძლება მიეჩინოს დამცველი მისი ინტერესების დასაცავად (მუხლი 68ხ), მაგრამ 70-ე მუხლის თანახმად, მოწმე, რომელიც, კანონით განსაზღვრული საპატიო მიზეზის გარეშე უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე ან ფიცის დადებაზე სასამართლოში, დაეკისრება ყველა იმ ხარჯების გადახდა, რაც გამოიწვია მის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმამ და აგრეთვე ჯარიმა. გერმანიაში ფიცს დებენ ჩვენების მიცემის შემდეგ. განასხვავებენ მოწმის ფიცის სამ სახეს: ფიცის რელიგიური ფორლულირება, საერო ფორმულირება და მოწმის უბრალოდ გაფრთხილება არ იცრუოს.[79] ჯარიმის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობა გამოიწვევს „იძულებით პატიმრობას“. პატიმრობის ეფარდების მიზანია, მოწმის იძულება მისცეს ჩვენება, მაგრამ პატიმრობა არ უნდა აღემეტებოდეს მიმდინარე საქმეზე სამართალწარმოების ხანგრძლივობის ვადას და შეიძლება გაგრძელდეს, არაუმეტეს 6 თვისა.

[77] 1 Bohlanderr, M. (2012). Principles of German Criminal Procedure. Oxford, Hart., გვ.150;
[78] საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2013, გვ.367-368;
[79] საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2013, გვ.177;

მოწმე, რომელიც განზრახ შეიყვანს სასამართლოს შეცდომაში, შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს ცრუ ჩვენების მიცემის გამო, რაც ისჯება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 153-163 მუხლებით ან ყალბი ბრალდების გამო, რომელიც იმავე კოდექსის 163-ე მუხლით დასჯად ქმედებას წარმოადგენს. გერმანიაში ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან მთლიანად თავისუფლდებიან ბრალდებულის ამჟამინდელი, ყოფილი ან მომავალი მეუღლე, ბრალდებულის მეუღლის პირდაპირი ნათესავი, მესამე რიგის არაპირდაპირი ნათესავი ან მეუღლის მეორე რიგის არაპირდაპირი ნათესავი. ,ღვდელი, ჟურნალისტი, ექიმი და სხვა პროფესიის წარმომადგენლები, რომელთაც ეკისრებათ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება და გათავისუფლებული არიან ჩვენების მიცემისაგან.[80]

1.2.4. მოწმეთა დაკითხვის თავისებურებები საფრანგეთში

საფრანგეთი არის ქვეყანა, სადაც ჯერ კიდევ დასაშვებია მოწმის მიმართ იძულების ღონისძიებების გამოყენება, ვინაიდან ამ ქვეყნის სამართლის სისტემა აგებულია „საჯარო წესრიგის“ პრინციპზე.[81]

1957 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (Code de Procedure Penale) 62-ე მუხლის მიხედვით, პოლიცია უფლებამოსილი იყო დაეკავებინა და დაეკითხა ნებისმიერი პირი, რომელსაც პოლიციის აზრით, შეეძლო გამოძიებისთვის რელევანტური ფაქტების, ან ამოღებული ნივთების ან დოკუმენტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. კანონის შესრულების უზრუნველსაყოფად, დასშვები იყო ძალის გამოყენება (ცვლილება შეტანილია 2011 წლის 14 აპრილის #2011-392 კანონით, მუხლი 14) და 1993 წლამდე პოლიციას უფლება ქონდა ეიძულებინა მოწმე, მიეცა ჩვენება და დაედო ფიცი სასამართლოში. 2011 წელს გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმა რომლის სედეგად, ეს ნორმები გარკვეულწილად გაუმჯობესდა. ზემოაღნიშნული დანაწესი შეიცვალა ტექსტით, რომ პირი, რომლის მიმართაც არ არსებობს სისხლის სამართის დანაშაულის ჩადენის ან დანაშაულის ჩადენის მცდელობის ეჭვი, გამომძიებელმა შეიძლება გამოკითხოს „ყოველგვარი ფიზიკური იძულების გარეშე“. ამის მიუხედავად, იმავე მუხლის მეორე პუნქტი იძლევა შესაძლებლობას, რომ თუ ეს „აუცილებელია გამოძიებისათვის“,

[80] ახალაია. ა, მოწმის დაკითხვის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2018, გვ. 37

[81] Giannoulopoulos, D. (2013). "Custodial Legal Assistance and Notification of the Right to Silence in France:

ასეთ პირს შიეძლება თავისუფლება შეეზღუდოს იმ მინიმალური ვადით, რაც აუცილებელია მისი ჩვენების მისაღებად, მაგრამ არა უმეტეს 4 საათისა. აღნიშნულ ნორმაზე იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წელს და დაასკვნა, რომ იგი სრულ შესაბამისობაშია კონსტიტუციურ გარანტიებთან, ვინაიდან როგორც კი ჩნდება ეჭვი, რომ მოწმე შეიძლება იყოს დამნაშავე, მასზე სრულად ვრცელდება ეჭვმიტანილის უფლებები.[82] პოლიციას, ასევე შეუძლია, გამოიძახოს ნებისმიერი პირი, რომელსაც შეუძლია ინფორმაციის მიწოდება ფაქტებთან, ეჭვმიტანილთან ან სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებით (მუხლი 55-1) და საჭიროების შემთხვევაში, დააკავოს იგი.[83] მოწმეებს არ კითხავენ ეჭვმიტანილის თანდასწრებით, მაგრამ მათი დაპირისპირება შესაძლებელია და ეს ფრანგული გამოძიებისთვის დამახასიათებელი ფაქტორია. მართალია, პოლიცია აღარ ითხოვს ფიცის დადებას, მაგრამ მოწმე ვალდებულია, ხელმოწერით დაადასტუროს მის მიერ მიცემული ახსნა-განმარტება მას შემდეგ, რაც მას წაუკითხავენ აღნიშნულ ახსნა-განმარტებას. მოწმემ ხელი უნდა მოაწეროს ტექსტის თითოეულ გვერდზე, რომელიც თან ერთვის საქმის ოფიციალურ მასალებს. გამოუცხადებლობა, ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ან ფიცის დადებაზე უარი თქმა ისჯება ჯარიმით (მუხლები 109 და 153). საფრანგეთში მხოლოდ ერთი ტიპის ფიცს სცნობს კანონმდებლობა. აქ ფიცის ტექსტი შემდეგნაირია: „ვფიცავ ვილაპარაკო სიძულვილისა და შიშის გარეშე, ვილაპარაკო მხოლოდ ჭეშმარიტება, სხვა არაფერი ჭეშმარიტების გარდა (მუხლი 331). სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებით ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით 3750 ევრომდე (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები 434. 15-1). დასჯადია ცრუ ჩვენების მიცემაც (იქვე. მუხლი 342).[84]

ევროპული სისხლის სამართლის პროცესში მოწმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების (competence of witnesses) რეგულირების წესების დადგენას, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ანდობს. ევროპულმა სასამართლომ მხოლოდ (მამხილებელი) მოწმის ავტონომიურ ცნებას მისცა განმარტება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, მის გადაწყვეტილებაში კოსტოვსკი ნიდერლანდების წინააღმდეგ და ასევე ვინდისი ავსტრიის წინააღმდეგ.[85]

---

[82] 2011 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება #2011-191/194/195/196/197 QPC

[83] Vogler, R.K. (2008). France. Criminal Procedure in europe. R.K.H. Vogler, B. Berlin, Duncker & Humbolt: 171-128. გვ. 197-200

[84] საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2013, გვ.177.

[85] Kostovsky v. Niderlande, Serie A, N166; Windish v Austrria, Serie A, N186; Esser, R. auf dem Weg zu einem europaischen Strafverfahrenrecht, Jur. Diss, 2002, S.630.

მოწმის ცნებას აუტონომიურად (autonomus), მიზანმიმართულად მისცა საკმაოდ ფართო განმარტება, კერძოდ, ევროპული სასამართლო მოწმის ცნებაში მოიაზრებს არა მხოლოდ იმ პირს, რომელიც სასამართლოს წინაშე უშუალოდ იქნა დაკითხული და ჩვენება მისცა, არამედ ასევე იმას, რომელიც სასამართლოს წინაშე მტკიცებულებათა გამოკვლევისას არ დაკითხულა და შესაბამისად, ჩვენება არ მიუცია ("not give evidence in court", "not testify in court in person"), ან რომელიც ხელშემკვრელი სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობით არ განიხილება როგორც მოწმე.[86] პირის მოწმედ ყოფნისათვის მთავარია მის მიერ (უშუალოდ პროცესის დროს ან პროცესის ფარგლებს გარეთ) მიცემული ჩვენება სასამართლოს წარედგინოს დაკითხვის მწარმოებელი უფლებამოსილი პირის მიერ, იქნება ეს წერილობითი ფორმით, წაკითხვის მეშვეობით თუ დაკითხვის ფორმით ("statements… were in fact before the… court"). მოწმე რა ეტაპზე მისცემს ჩვენებას, მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი და მნიშვნელოვანია ეს ჩვენება გახდეს სასამართლოს განხილვის საგანი და მოწმის მიერ ჩვენების მიცემისას არ იქნეს დარღვეული ბრალდებულის კონფრონტაციის უფლება. ბრალდებულის კონფრონტაციის უფლება მხარეთა სამართლიანი მოსმენისა და შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის გამოხატულობაა.[87]

1.3. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პრაქტიკაში არსებული გარემოებები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს პრაქტიკაში არსებულ გარემოებებს და სამართლიანად უთითებს იმ ვითარებებს, როდესაც მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევა სასამართლო სხდომაზე პრაქტიკულად შეუძლებელია. გამოზიების პროცესში საგამოძიებო ორგანოების მიერ ან პროცესის ფარგლებს გარეთ მოპოვებული მოწმის ჩვენება არ არღვევს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის "d" ქვეპუნქტის მოთხოვნებს და შესაძლებელია ეს ჩვენება საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს მიერ იქნეს შეფასებული და განაჩენს დაედოს საფუძვლად, თუ გამოძიების პროცესში დაცული იქნება კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის "d" ქვეპუნქტით გარანტირებული ბრალდებულის მოწმის კონფრონტაციის უფლება. კონფრონტაციის უფლება ნიშნავს, ბრალდებულს ან მის დამცველს მიეცეს შესაბამისი და

[86] For the purpose of Article 6 Asch v. Austria, Serie A N203, Esser, R., Auf dem Weg zu einem europaischen Strafverfahrecht, Jur, Jur. Diss, 2002

[87] F. Mahler, das Recht des Beschuldigten auf konfrontativeBefragung der Belastungszeugen, 2011, S.55.

გამოსადეგი შესაძლებლობა, გადაამოწმოს მოწმის ჩვენება და გამოკითხოს ეს მოწმეები,რათა მათ შეძლონ მოწმის სანდოობის, მისი ჩვენების სარწმუნოობისა და დამაჯერებლობის შემოწმება, რაც მათ შესაძლებლობას უქმნის ამ მოწმის ჩვენება საეჭვოდ გახადონ . ამისათვის კი მნიშვნელობა არა აქვს მოწმემ ჩვენება სად მისცა, გამოძიების პროცესში - გამომძიებელთან, მაგისტრატ მოსამართლესთან თუ საერთოდ სასამართლო პროცესს გარეთ. მთავარია დაცული იქნეს ბრალდებულის უფლება, დაკითხოს მოწმე ჩვენების მიცემის პროცესში.[88] ევროპული სასამართლო მამხილებელ მოწმეს (ბრალდების მოწმეს) სამ მოთხოვნას უყენებს: ა) მამხილებელი (ბრალდების) მოწმე მთვარ სასამართლო სხდომაზე უნდა გამოცხადდეს და დაკითხული იქნეს მხარეთა მიერ; ბ) თუ გამოძახებული მოწმე არ გამოცხადდება მთავარ სასამართლო სდომაზე, მისი გამოუცხადებლობის პროცესუალური კომპენსაცია უნდა მოხდეს იმით, რომ დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს ან უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, პროცესის ფარგლებში ან თუნდაც პროცესის ფარგლებს გარეთ, უშუალოდ მონაწილეობა მიიღოს ან მიეღო მამხილებელი მოწმის დაკითხვაში; გ) ასეთ მტკიცებულებას შეზღუდული მტკიცებულებითი ღირებულება აქვს. დაუშვებელია მხოლოდ ასეთი მტკიცებულება დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად.[89]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვ/პის მოთხოვნა არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, რომელიც ნაციონალურ სასამართლოებს დაავალდებულებდა, დაეკმაყოფილებინა დაცვის მხარის ნებისმიერი სუამდგომლობა მოწმის გამოძახებისა და დაკითხვის შესახებ. კონვენცია ადგენს ზოგად გარანტიას იმის თაობაზე, რომ საქმესთან შემხებლობის მქონე მოწმეების დაკითხვა განხორციელდეს თანაბარ პირობებში. თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ გარკვეული გამონაკლისები ზემოხსენებული გარანტიიდანაც არსებობს მანამ, სანამ საფრთხე არ დაემუქრება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას. გამონაკლის შემთხვევებში იგულისხმება ობიექტურად გარდაუვალი ვითარება, როდესაც დაცვის მხარის უფლებათა შეზღუდვის აცილება შეუძლებელი იყო.[90] სასამართლო პრაქტიკიდან აღსანიშნავია ოთხი შემდეგი ვითარება: 1. მოწმის მიერ ჩვენების მიცემა შეუძლებელია, რადგან არ გამოცხადდა სასამართლოზე ან შეუძლებელია მისი მოყვანა; 2. არსებობს მოწმის

[88] Esser, Auf dem Weg zu einem Europaischen Strafverenrecht, Jur. Diss, S.638.2002.

[89] ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო, თბილისი 2015, გვ.323-326; Mahler, F., das recht des Beschuldgigten auf KonfrontativeBefragungderrBelasttngszeugen, 2009, S.51;

[90] ახალაია. ა, მოწმის დაკითხვის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2018, გვ 47

ვინაობის გასაიდუმლოების ინტერესი; 3. მოწმე დაშინებულია ბრალდებულის მიერ; 4. მოწმე არის სექსუალური დანაშაულის მსხვერპლი, რომელმაც ბრალდებულთან დაპირისპირების შედეგად, შესაძლებელია, მძიმე სულიერი ტრავმა მიიღოს.[91]

დასკვნა

დაკითხვის ახალი წესის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ საკითხი აქტუალურობას არ კარგავს, რადგან აღნიშნულმა წესმა კოდექსის ამოქმედებიდან დღემდე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა,ნორმის ამოქმედება ხუთჯერ გადავადდა, კერძოდ: 2010 წლის 24 სექტემბერს, 2012 წლის 22 მაისს, 2013 წლის 18 იანვარს, 2013 წლის 24 ივლისს და 2013 წლის 26 დეკემბერს საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებებით. ამ უკანასკნელი ცვლილებით 2015 წლის 31 დეკემბრამდე დაკითხვა წარმოებს 1998 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ანუ დაკითხვის მოქმედი კოდექსით დადგენილი წესი გადავადებულ იქნა 2015 წლის 31 დეკემბრამდე. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ დასახელებული წესის ამოქმედება ართულებს ბრალდების მხარის მიერ გამოძიების ჩატარებას და ამცირებს მის ეფექტურობას. ნაშრომის ფარგლებში საფუძვლიანად იქნა შესწავლილი თემასთან დაკავშირებული საკითხები, დამუშავებულ იქნა ნორმატიულ მასალა, იურიდიულ ლიტერატურა და სხვადასხვა კვლევები, ასევე საგამოძიებო ორგანოების მონაწილეთა მოსაზრებები. შეიძლება ითქვას, რომ მოწმის საკითხთან დაკავშირებული ბევრი საკითხი პრობლემურია, რაც მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებებს რამოდენიმე მიმართულებით.

1.სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით, შესაძლოა გამოიკითხოს მხარეთა მიერ. დაუშვებელია გამოსაკითხი პირი მუქარით და სხვა საშუალებებით ვაიძულოთ წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია. გამოსაკითხი პირი ნებაყოფლობით გამოკითხება და თანხმობის შემთხვევაში ვალდებულია გამოკითხვის ჩამტარებელ მხარეს სწორი ინფორმაცია მიაწოდოს. საგამოძიებო ორგანოები შესაძლოა ხშირად დადგნენ თვლითხმილველი პირის იდენტიფიკაციის პრობლემის წინაშე, თუ მას არ სურს გამოძიებასთან თანამშრომლობა, უარის შემთხვევაში, მას ვერავინ აიძულებს მიაწოდოს ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ვინაიდან, ამ შემთხვევაში

[91] ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2009, გვ.330

მოქმედებს გამოსაკითხი პირის მიერ ინფორმაციის ნებაყოფლობით გაცემის პრინციპი და მას აღნიშნული უარის გამო არანაირი ფორმით პასუხისმგებლობა არ ეკისრება. მაქსიმუმ, შესაძლებელია მხარემ მას განუმარტოს, რომ ის შეიძლება დაბარებულ იქნას მაგისტრატი მოსამართლის წინაშე ჩვენების მისაცემად უკვე მოწმის სტატუსით. პრაქტიკაში, შეიძლება წარმოიშვას იმ პირის იდენტიფიკაციის პრობლემა, რომელიც უარს ამბობს გამოკითხვაზე, რაც ხელს შეუშლის ბრალდების მხარის მიერ გამოსაკითხი პირის სასამართლოში დაკითხვას. საქმე იმაშია, რომ გამოსაკითხი პირი გამოკითხვაზე როგორც თანხმობის, ისე უარის თქმის შემთხვევაში ვალდებულია გამომკითხველს თავისი პირადი მონაცემების შესახებ სწორი ინფორმაცია მიაწოდოს. თუ მოწმე უარს იტყვის ასეთი ინფორმაციის მიწოდებაზე, არ არსებობს მექანიზმი, რომლითაც გამოსაკითხი პირისგან, შესაძლებელი გახდება პერსონალური მონაცემების მიღება/გამჟღავნება.გამოსაკით პირს აქვს მხოლოდ სიმართლის თქმის ვალდებულება,მაგრამ კანონი არ აკისრებს მოვალეობას გასცეს პერსონალური მონაცემები როგორც გამოსაკიტხმა პირმა.როგორც ვიცით, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე წარდგენილ შუამდგომლობაში პირის მოწმედ დაკითხვის საფუძველთან ერთად უნდა იყოს აღნიშნული მოწმის სახელი, გვარი, მისამართი და პირის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი სხვა ინფორმაცია. შესაბამისად, ბრალდების მხარე ვერ შეძლებს შუამდგომლობაში მიუთითოს გამოსაძახებელი პირის ზუსტი მონაცემები, რაც დაბრკოლებას შეუქმნის ბრალდების მხარეს მოწმის დაკითხვაში. ამიტომ, აუცილებელია სსსკ 113-ე მუხლში განისაზღვროს პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომა დასახელებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

2. მოწმის დაკითხვის ახალი წესის თანახმად, მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებშია პირის მოწმედ დაკითხვა შესაძლებელი, მხარის შუამდგომლობით და მაგისტრატი მოსამართლის წინაშე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114–ე მუხლის თანახმად, ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება, როცა: არსებობს მოწმის სიცოცხლის მოსპობის ან/და ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება, ხელი შეუშალოს მის დაკითხვას საქმის არსებითი განხილვის დროს; იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას; საქმის სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართვისთვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება საჭიროებს არაგონივრულ ძალისხმევას; ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ ნორმის ამოქმედ სამართალდამცავი ორგანოები ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად ახალი ნორმების ამოქმედებისათვის, რადგანაც ეს ხელს უშლიდა გამოძიების ეფექტურად

წარმართვას, რადგან პროცესუალურად აღნიშნული ცვლილებით ცალსახად ეს იყო გამოძიებისთვის და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისთვის შემაფერხებელი.•მოწმეთა დაკითხვის შეზღუდვამ დანაშაულის ჩადენისთანავე, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დანაშაულზე იმწუთიერი რეაგირებისა და მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის, მოწმის დაკითხვის, მყისიერად განუხორციელებლობამ, შესაძლოა, შექმნას მტკიცებულებათა განადგურების, შემთხვევის ადგილის დაზიანებისა და მოწმეთა მიმალვის საფრთხე, შესაბამისად, რისკის ქვეშ დააყენოს ამ დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება და შეასუსტოს ქვეყანაში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბერკეტები,სახელმწიფოს უსაფრთხოება და გამოძიების ეფექტიანად განხორციელება განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება იმ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომელთა ცხელ კვალზე გახსნაც გადამწყვეტი მნიშვნელობის არის. სახელმწიფოს უსაფრთხოება და გამოძიების ეფექტიანად განხორციელება უპირობოდ უნდა წარმოადგენდეს მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს,მოწმეთა დაკითხვის ამჟამად მოქმედი წესის ამოქმედებას, კანონმდებელი გაურბოდა იმ მოტივით, რომ საგამოძიებო ორგანოები არ იყვნენ მზად ახალი წესით ეწარმოებინათ მოწმეთა დაკითხვა და მთლიანად გამოძიება.ადამიანის უფლებათა კონვენციის ძირითადი იდეა – ადამიანის უფლებების საერთაშორისო დაცვა – მდგომარეობს იმაში, რომ კონვენციით გარანტირებული იყოს ის უფლებები, რომლებიც ცალკეულ მოქალაქეებს სახელმწიფო ორგანოების მხიდან ძალაუფლების განხორციელებისგან დაიცავს. თუ როგორ ხორციელდება სახელმწიფოში სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სფეროში სასამართლო ხელისუფლება, ამ შემთხვევაში დიდ როლს არ თამაშობს; შესაბამისად, ყოველ სუვერენულ სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს გარე მითითებების ზემოქმედების გარეშე, ეროვნულ დონეზე სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი სტრუქტურების საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრა. ყველა სახელმწიფომ უნდა შეისწავლოს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, კულტურული ღირებულებები, ვინაიდან კულტურა არეგულირებს ადამიანის ქცევებს, იგი მნიშვნელოვანია ინდივიდისა და საზოგადოების ფუნქციონირებისთვის,მხოლოდ სხვა ქვეყნების მაგალითზე შემუშავებულმა სისხლის სამართლის ნორმების ლიბერალიზაცია, ზრდის საგამოძიებო ორგანოების საქმიანობის შეფერხების საშიშროებას, დანაშაულთა გამოძიების შეფერხებამ კი შეიძლება შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი გამოიწვიოს და მნიშვნელოვნად დააზიანოს

სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესი. კანონმდებელი, რომელიც ახდენს მნიშვნელოვანი კანონის ცვლილებას, პირველ რიგში უნდა ცდილობდეს დაიცვას ოქროს შუალედი და არ დააზიანოს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი, ამ შემთხვევაში კი დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კანონმდებელს პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვასთან ერთად, აკისრია, დანაშაულის გამოძიების, დანაშაულის გამოვლენის, მასზე რეაგირების ეფექტური მექანიზების შექმნის ვალდებულება.საქართველოს გენერალურმა პროკურორმა მას შემდეგ რაც საგამოძიებო ორგანოები გადააწყდნენ მნიშვნელოვან სირთულეს, როდესაც, საშუალოდ ასი მოწმიდან მხოლოდ ოთხი მოწმე თანამშრომლობდა გამოძიებასთან აღნიშნა :,,საზოგადოებას აქვს მენტალური პრობლემა, რადგან ხშირად დანაშაულის თვითმხილველები არ თანამშრომლობენ სამართალდამცავ უწყებებთან და გამოძიებას არ აწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციას". ,,ახალგაზრდებში მოხდა დაპირისპირება და მკვლელობით დასრულდა. სამწუხაროა, რომ არსებობენ თვითმხილველები და არ საუბრობენ კონკრეტულ ფაქტზე.''[92] აღნიშნა საქმის ერთ ერთმა გამომძიებელმა ინტერვიუს დროს.დანაშაულთან დაკავშირებით მოწმისგან ინფორმაციის მიღება მოკლე დროში, გამოძიებისთვის ცენტრალური საკითხია, თვითმხილველთა ფსიქოლოგიის გამოკვლევამ დადგინდა, რომ თვითმხილველის მეხსიერება არ არის აღქმული მოვლენების მუდმივი ჩანაწერით და შეიძლება გაფუჭებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით. სახელმწიფო უნდა ებრძოლოს დანაშაულს და არ დაარღვიოს ადამიანის უფლებები.საგამოძიებო ორგანოები მოწოდებულნი და მოტივირებულნი არიან იმისკენ, რომ დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩეს, არ შეიძლება მივიჩნიოთ საგამოძიებო ორგანოები ადამიანის უფლებების დამრღვევ ორგანოდ, რომელსაც საგამოძიებო მოქმედებების შესრულებისას სჭირდება ობიექტური დამკვირვებელი. როდესაც, გამომძიებელს აქვს შესაძლებლობა დაკითხოს მოწმე დანაშაულის ფაქტთად დაკავშირებით, კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას თუ იგი ამას დამოუკიდებლად გააკეთებს, დაარღვევს მოწმის უფლებებს და ივიწყებს დამნაშავისგან მომდინარე საშიშროებას, რომელიც არის ანტისაზოგადოებრივი პიროვნება, რომელიც დანაშაულის თვითმხილველ პირებს აღიქვამს მისთვის საფრთხის შემქმნელად, მათ უმრავლესობას ნამდვილად შეუძლია მოწმის დაშინება და მასზე ზემოქმედება. გამოსაკითხი პირის დაცვის მექანიზმი კი არ არასებობს, არსებობს მხოლოდ მოწმის დაცვის მექანიზმი რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო

[92] https://mcm.ge/7

კოდესი. ხდება ისეც, რომ თვითმხილველი პირები მალავენ ინფორმაციას ან ცვლიან ჩვენებებს მთელი რიგი ფაქტორების გამო. როდესაც თვითმხილველი არ თანამსრომლობს გამოძიებასთან, მანამ სანამ მას დაიბარებენ მოწმის სტატუსით მაგისტრანტ მოსამართლესთან, დანაშაულის ჩამდენ პირებს საკმარისი დრო აქვთ იმის ზემოქმედება მოახდინოს თვითმხილველ პირებზე მათი, დაშინების, ზეწოლის, მუქარის, ფინანსური სტიმულატორების საშუალების გზით. ხშირად ამ მიზეზების გამო მოწმეთა უკვე სასამართლოში მიცემულმა ჩვენებამ სისხლის სამართლის საქმის ჭეშმარიტება მტრულადაც კი შეიძლება შეიცვალოს.ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გამოცდილებამ ნათლად წარმოაჩინა, რომ ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა მოწმეთა დათანხმება გამოძიებისთვის მიეცათ ჩვენება. კრიმინალური დაჯგუფებები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ სამართალდამცავებისთვის ხელი შეეშალათ ნებისმიერი ხერხით, იქნებოდა ეს მოწმეზე ან მის ახლობლებზე ზემოქმედება, მუქარა ჯანმრთელობის, სიცოცხლის თუ ქონების განადგურების მიზნით, მათ შორის მნიშვნელოვანი თვითმხილველების ,,გაქრობითაც'' კი[93] არსებობს მოწმეებზე ზემოქმედების გაზრდილი საფრთხე.

3. რაც შეეხება, პირის მოწმედ დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებას, მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობის მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა, პროკურორმა უნდა დაასაბუთოს პირის მოწმის სახით დაკითხვის საჭიროება. თუ მოწმე დადგენილ ვადაში საპატიო მიზეზით ვერ ცხადდება სასამართლოში. დაუშვებელია მოწმის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ღამის საათებში დაკითხვა. ამასთან, მხარეს მინიჭებული აქვს უფლება, რომ ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, რომელიც შეტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა განიხილავს. აგრეთვე, 24 საათში უნდა მოხდეს პირის მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვა, მას შემდეგ, რაც განჩინება გადაეცემა ისევ მაგისტრატ მოსამართლეს.აღსანიშნავია ის გარემოება, როდესაც გამომძიებელს აქვს შესაძლებლობა მოწმე უშუალოდ დანაშაულის შემთხვევის მოსაზღვრე მომენტში, დაუყოვნებლივ დაკითხოს მოწმე მომხდარი ფაქტიდან გამოწვეული ემოციების ქვეშ არის მოქცეული, აღელვებულ მოწმეს კი ფსიქოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე ნაკლებად შეუძლია რაიმეს გამოგონება და შეთხზვა.შესაბამისად, მისი

[93] https://www.sabauni.edu.ge/library/levan-gvritiSvili---mowmeTa-dacvis-specialuri-programa.--1600539575.pdf
მ3.25

ჩვენების შედეგად გამოძიებისთვის არასწორი მიმართულებით წაყვანა ნაკლებად სავარაუდოა, განხსვავებით იმისგან როცა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იკითხება.ნებისმიერ შემთხვევაში, პოლიციის ოფიცერი გამოკითხვის პროცესში უნდა ეცადოს მოიძიოს მაქსიმალურად მეტი ფაქტობრივი და საიმედო ინფორმაცია, რომელიც გამოძიებაში და დანაშაულის წარმატებით გახსნაში დაეხმარება. კანონმდებელმა უნდა დაიცვას ბალანსი და უნდა შეიმუშავოს ისეთი კანონი, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც საპოლიციო საქმიანობის პროფესიულ განხორციელება, ისე დამიანის უფლებათა დაცვას ვინაიდან ერთი ვერ იარსებებს მეორის გარეშე.მოწმეების მნიშვნელოვანი ფაქტების მოგონებები არა მხოლოდ დროთა განმავლობაში უარესდება, არამედ შეიძლება უარყოფითად დამახინჯდეს ორიგინალური გამოცდილების შემდეგ შემოტანილი ახალი ინფორმაციით,ამასთან, შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოწმე უნდა დაიკითხოს სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა,რაც საორგანიზაციო თვალსაზრისით, საკმაოდ რთულად გადასაწყვეტი საკითხია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოწმის დაკითხვის დასრულებისთანავე მაგისტრატმა მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს ჩვენების დაკითხვის ინიციატორი მხარისთვის როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული ფორმით გადაცემა რაც ასევე, დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მოწმის მხოლოდ სასამართლოში დაკითხვის რეგლამენტირებამ და შეზღუდვამ შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს საგამოძიებო პროცესის ეფექტურად წარმართვაზე.

4. უშუალობის პრინციპიდან გამომდინარე, პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირმა უშუალოდ უნდა აღიქვას ყველა მტკიცებულება და შეაფასოს ისინი, გამომძიებელს, პროკურორს უნდა შეეძლოთ მოწმის უშუალოდ დაკითხვა საგამოძიებო ორგანოებში, მაგისტრატი მოსამართლის გარეშე საგამოძიებო ორგანოებში, მომხდარი დანაშაულიდან მოსაზღვრე მომენტში, რათა პირადად გამოიკვლიონ მოწის ჩვენება, მისი სანდოობა და საქმესთან შემხებლობა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება სასამართლოში, საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად გამოდგება თუ არა მისი ჩვენება, როგორც მტკიცებულება. მოწმის მიერ საგამოძიებო ოგანოებისთვის ჩვენების მიცემა უნდა იყოს მისი პირდაპირი ვალდებულება და არა მისი უფლება, მოწმისთვის იმ უფლების მინიჭება რასაც ითვალისწინებს მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი.პიროვნების ფუნდამენტალური უფლებების და თავისუფლების დაცვა თანხვედრაში უნდა იყოს დანაშაულის გახსნის საჯარო ინტერესთან, შესაბამისად უკეთ უნდა დაიხვეწოს აღნიშნული წესი, რათა სამართალწარმოება და დანაშაულზე რეაგირება სახელმწიფოს

მხრიდან ხორციელდებოდეს ეფექტურად და სრულყოფილად. მტკიცების ტვირთი აკისრია ბრალდების მხარეს, მტკიცების ტვირთის კრიტერიუმებია: პირველი, უნდა დამტკიცდეს, რომ ფაქტობრივად ჩადენილია დანაშაული და მეორე, რომ ბრალდებული იყო სწორედ ის პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რისი მტკიცებაც ხშირ შემთხვევაში მოწმეების ჩვენების გარეშე შეუძლებელიც ხდება, ამიტომ თუ ცოტა მეტი უფლება გააჩნია ბრალდების მხარეს, ეს არ უნდა ითვლებოდეს თანასწორობის დარღვევად. მხარე ვალდებულია დაასაბუთოს თუ რა გარემოებების შესახებ ფლობს ინფორმაციას ესა თუ ის პირი, რომლის დაკითხვასაც ითხოვს მაგისტრატ მოსამართლესთან, რითი ადასტურებს აღნიშნულს.მოსამართლე „ბრმად“ კი არ ამტკიცებს დასაკითხ პირთა სიას, არამედ მხარემ უნდა დაასაბუთოს, რომ ეს მოწმე ფლობს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარკვეულ ინფორმაციას.რაც რასაკვირველია საგამოძიებო ორგანოების დამატებით დროს და რესურსს მოითხოვს. ნაცვლად იმისა რომ საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელი იბარებდეს მოწმეებს კანონის ძალით და იღებდეს მათგან საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. პროკურორს, გამოძიებელს თვითმხილველებისგან ინფორმაციის მიღებისას, ეს კიდევ იმ შემთხვევაში თუ კი გაუმართლათ და თვითმხილველმა პირმა მიიღო მონაწილეობა გამოკითხვაში, უწევთ მათ მიერ მიცემული ჩვენების ჭეშმარიტების და სისწორის განსაზღვრა, გამორჩევა სიცრუისგან. განსაზღვრა, თქვა თუ არა სიმართლე; დამალა თუარა მნიშვნელოვანი ფაქტები; რამდენად ზუსტი იყო მის მიერ მიცემული ჩვენება, ცრუ ინფორმაცია მისცა თუ შეცდა ფაქტის შეფასებისას; პროკურორს უწევს, ვარაუდის დონეზე, შუამდგომლობის დასაბუთება რომ ესა თუ ის პირი საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს, რაშიც იხარჯება როგორც საგამოძიებო ორგანოების ისე სასამართლოს დრო და რესურსი.

5. სასამართლო რესურსის ხარჯვა არის ასევე მთავარი პრობლემა,დაცვის და ბრალდების მხარის მიერ განუსაზღვრელი რაოდენობის მოწმის დაკითხვამ სასამართლო სისტემის გადატვირთვას იწვევს, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიუახლოვდა ე. წ სასამართლო გამოძიების მოდელს, რომლის მიხედვითაც, მტკიცებულებათა მოპოვებაზე ვრცელდება სასამართლო კონტროლი. მოქმედი კანონმდებლობით აღარ არსებობს ე. წ „წინასწარი გამოძიება“ და წინასწარი გამოძიების ტერმინი შეიცვალა ტერმინით წინასასამართლო გამოძიება, ამით ხაზი გაესვა იმას, რომ გაიზარდა სასამართლოს როლი მათ შორის, მოწმის დაკითხვასთან მიმართებაში, ანუ საქმის გამოძიება და სასამართლო განხილვა გახდა სამეტაპიანი: პირველს ეწოდა „წინასასამართლო გამოძიება,“ მეორეს – „წინასასამართლო სხდომა“ და

მესამეს – „საქმის არსებითი განხილვა.“ სასამართლოს შეუთავსეს საგამოძიებო ორგანოების ფუნქცია,სისხლის სამართლის საქმეებზე, მაგისტრანტი მოსამართლის წინაშე ათასობით მოწმე იკითხება, რაც ზრდის სასამართლოს დროის ხარჯვას , დაცვის და ბრალდების მხარის მიერ განუსაზღვრელი რაოდენობის მოწმის დაკითხვამ სასამართლო სისტემის გადატვირთვა შეიძლება გამოიწვიოს, ასევე არსებითი განხილვის ეტაპის ელემენტების შემოტანა ხდება მაგისტრატ მოსამართლესთან მოწმის დაკითხვის ეტაპზე; სასამართლო ხელისუფლებას ვუთავსებთ საგამოძიებო ორგანოების კომპეტენციას იმ საფუძვლით რომ დაცული იყოს მოწმე ძალადობრივი ზემოქმედებისგან და უფლებების დარღვევისგან საგამოძიებო ორგანოების მხრიდან,კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსამართლე მოწმის დაკითხვის პროცესში მხოლოდ ტექნიკურ როლს ასრულებს ,მაშინ საგამოძიებო ორგანოს ენიჭება პასუხისმგებლობა დანაშაულის პრევენციის, გამოვლენის, გახნის. მაშინ როდესაც, დანაშაულის მტკიცების ტვირთი აკისრია ბრალდების მხარეს და თუ ცოტა მეტი უფლებები გააჩნია ბრალდების მხარეს, არცერთი სისტემის პროცესში, ეს არ უნდა ითვლებოდეს თანასწორობის დარღვევად.

ყოველი სახლმწიფო განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელებას. ვინაიდან სისხლის სამართლის მართებული პოლიტიკა არის გასაღები დამნაშავეობის შემცირების და გარანტი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის.სამართლიანი სასამართლო განხილვა წარმოუდგენელია მხარეთა განსაზღვრის გარეშე. აღნიშნული გულისხმობს, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარეს მიუხედავად მათი თანასწორობის აღიარებისა აქვთ განსხვავებული უფლებები და მოვალეობები მათი სტატუსიდან გამომდინარე,შედარებით რთულია ბრალდების მხარის როლი, ვინაიდან მას აკისრია ბრალდების ტვირთი.სახელმწიფოს მიზანი არის სამართლიანობის აღდგენა და ჭეშმარიტების დადგენა, რაც სრულყოფილად ჩატარებული საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებების და მათი საშუალებით მოპოვებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად მიიღწევა.საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, გამოძიების ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოიძიონ მომხდარი დანაშაული. თუ ხელისუფლება, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოება, არ გაიაზრებს სისხლის სამართლის მართებული პოლიტიკის გატარების არსს, შედეგად მივიღებთ ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას და დანაშაულობის ზრდას. გაჭიანურდა თუ არა დევნა დამოკიდებულია მრავალ ურთიერთდაკავშირებულ მოცემულობებზე. ამ

სახის გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სისხლის სამართლის საქმის სირთულე და მისი გამოძიების თავისებურებანი. როდესაც ხდება რამდენიმე ასეული მოწმის დაკითხვა.ცხადია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა ერთის მხრივ წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას დაცვის მხარისთვის და მისი დარღვევა მნიშვნელოვნად განაპირობებს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევას, მეორეს მხრივ გამოძიება საქმის სირთულიდან გამომდინარე აწყდება მნიშვნელოვან პრობლემებს, რაც თავის მხრივ იწვევს დევნის გაჭიანურებას.

მნიშვნელოვანია,მომზადდეს მოწმეთა დაკითხვის სრულიად ახალი მოდელი, რომელიც ერთის მხრივ, უზრუნველყოფს რაიმე სახის ზეწოლისაგან მოწმეთა დაცვას, ხოლო მეორეს მხრივ, არ დააზიანებს საგამოძიებო პროცესს.მნიშვნელოვანია, მოწმის ჩვენების მიცემა საგამოძიებო ორგანოებში,როგორც გამომძიებლის, პროკურორის, ასევე სასამართლოსათვის იყოს სავალდებულო ხასიათის,ჩვენების მიცემაზე უარის წარმოადგენდეს დანაშაულს და ისჯებოდეს სისხლის სამართლის წესით.

გარდა ამისა, მომავალში პოლიციის მოხელეების მხრიდან თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების რისკის შესამცირებლად, შემოღებული უნდა იყოს სპეციალური გაიდლაინები., მოხდეს მათი უფრო საფუძვლიანი გადამზადება და დატრენინგება.ზოგჯერ პოლიციის თანამშრომლებმა არ იციან, როგორ იმოქმედონ გარკვეულ სიტუაციებში ზუსტი პროტოკოლის არარსებობის გამო.პოლიციის მხრიდან არასწორი ქცევის შემცირებისათვის, სასურველია, კარგად ჩამოყალიბებული გაიდლაინების შემოღება. ეს სასარგებლო იქნება ასევე არაეთიკური ქცევის შესამცირებლად ცალკეულ შემთხვევებში.ეს გაიდლაინები შეიძლება არ იყოს საჯარო, მაგრამ მათი მიღების ან ცვლილებების შეტანის პროცესი გარკვეულ წილად გამჭვირვალე უნდა იყოს და შესაბამისი ექსპერტები უნდა ჩაერთონ უკუგებისა და კომენტარების მიწოდების მიზნით. გაიდლაინები არ უნდა შედგებოდეს უბრალოდ ზოგადი პრინციპებისაგან, არამედ უნდა მოიცავდეს ზუსტ წესებს, რომლებიც საშუალებას მისცემს პოლიციის თანამშრომლებს, უკეთესი გადაწყვეტილებები მიიღონ სხავდასხვა სიტუაციაში და იმოქმედონ კანონის შესაბამისად.სისხლის სამართლის პროცესის პირველი ეტაპები ყველაზე მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის სისტემის ეფექტიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით. სწორედ ამ პერიოდში შეგროვებული მტკიცებულებების რაოდენობა და ხარისხი განსაზღვრავს მოგვიანებით

სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობას. კანონით განისაზღვროს მოწმის მოწმის დაკითხვისას, ადვოკატის დასწრების სავალდებულოობა როდესაც იგი დაიკითხება საგამოძიებო ორგანოებში, ადვოკატი შეასრულებს ე.წ მაკონტროლებელის როლს რაც გამორიცხავს მოწმზე ზემოქმედების შესაძლებლობას. ადრეულ ეტაპზე ადვოკატის ჩართვის სავალდებულოობა, შეამცირებს სასამართლოს ხარჯებს, ასევე დაზოგავს საგამოძიებო ორგანოების დროს და რესურსს. დროში შეზღუდულობა, რომელიც სისწრაფის ცნებიდან გამომდინარეობს, არ გააჭიანურებს გამოძიებას.

სისხლის სამართლის პროცესის პირველი ეტაპები ყველაზე მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის სისტემის ეფექტიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით. სწორედ ამ პერიოდში შეგროვებული მტკიცებულებების რაოდენობა და ხარისხი განსაზღვრავს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

გამოყენებული ლიტერატურა

- აქუბარდია,ი. წიგნი: საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევების კრებული, თბილისი, 2015,
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია რომი 1950 წელი 4 ნოემბერი.
- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი;თბილისი;2015
- ადამიანის უფლებათა ცენტრი, მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, თბილისი, 2017 http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hridc/reserch
- აქუბარდია ი., გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საპროცესო წესის სრულყოფის შესახებ, კრებულში: „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, N3, 2018, გვ. 4-15;
- ჯავახიშვილი ი. 1928. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისის უნივრსიტეტის გამოცემა,თბილისი;
- მოკლე შესავალი საგამოძიებო მიზნებში გამოკითხვის საკითხებზე პრაქტიკოსის სახელმძღვანელო; ხელმისაწვდომია ბმულზე: https://rm.coe.int/guide-to-investigative-interviewing

- მართლმსაჯულება და კანონი;N1(53)
- სისხლის სამართლის საპროცერსო კოდექსი; (2021) ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=130
- დიასამიძე ფ. ჟურნალი ,, სამართალი და მსოფლიო" 2019 წლის დეკემბერი,N13.
- დეკანოზიშვილი.გ. დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლის სამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში; თბილისი 2010.
- ლალიაშვილი თ; ჟურნალი სამართალი და მსოფლიო; გამომცემლობა,თბილისი, N4. 2016;
- საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მესამე გამოცემა, ჯ. გახოკიძის, მ.მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქტორობით, თბილისი, 2015
- სისხლის სამართლის პროცესი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი. 2020წ.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
- განმარტებითი ბარათი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ., თბილისი.2015,2
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კერძო ნაწილის სახელმძღვანელო., მ.მამნიაშვილი.,ჯ.გახოკიძე.,2012
- ლალიაშვილით.,სისხლის სამართლის პროცესის სახელმძღვანელო,თბილისი,2015,
- საგამოძიებო საქმიანობის ფსიქოლოგიური ასპექტები, 2015
- საქართველოში,სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და კვლევების კრებული;თბილისი 2015
- საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და კვლევების კრებული; თბილისი 2015
- აქუბარდია.ი. გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საპროცესო წესის სრულყოფის შესახებ; თბილისი 2019;
- http://www.library.court.ge/upload/martlmsajuleba-da-kanoni-2017w-n1
  - ცინცაძე ზ. დაკითხვის ტაქტიკური საკითხები ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე, ჟ. ,,სამართალი' №6-7, 2003 წელი
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია რომი 1950 წელი 4 ნოემბერი
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტების კრებული" თბილისი 1998 წელი. იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/111190?publication
- ,,მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების
- განხორციელების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აქტი. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl5.pdf

- ლომსაძე.მ „სისხლის სამართლის პროცესი“ მე-6 გამოცემა თბილისი 2016.გვ.205
- ფიფიაშვილი შ „კრიმინალისტიკა“ (ზოგადი ნაწილი) თბილისი 2013
- გოგშელიძე რ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი მუხლის სრულყოფის საკითხებისათვის. ,,მართლმსაჯულება და კანონი‘№2/3, 2007 წელი.
    - დარასელია ნ. მოწმის სამართლებრივი სტატუსი სისხლისსამართალწარმოებაში, თბილისი, 2020
    - ხუციშვილი ხ. გამოძიებისას მოწმის გამოკითხვისა და დაკითხვის ახალი წესი - საკანონმდებლო ცვლილებები სისხლის სამართალის პროცესში, გორი, 2019
- მოწმის სამართლებრივი მდგომარეობა და დაკითხვის წესი სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას, ჯურნალი "ინტელექტუალი", 2008 წელი, #6,
- სისხლის სამართლის საპროცესო წესები. 2014 Restatment.პუნქტი 28(3)
- "ახალგაზრდა პირების მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართალში მტკიცებულებების შესახებ"1999 წლის კანონი, ნაწილი2, თავი1, მუხლი27;
- მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში.,რ ვოლგერი.,2015.,6-9
- https://www.osgf.ge/files/2015/2015/Human%20Rights%20Program/Reports_GEO-web. თბილისი,2015
- საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2013
- საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი 2013
- განმარტებითი ბარათი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ., თბ.2015(https://parliament.ge);

სასამართლო გადაწყვეტილებები

- საქართველოს სახელით საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება №2/13/1234,1235
- კონსტიტუციური სარჩელი N1237, ვასილ საგანელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2017 წლის 15 ივნისი

უცხოენოვანი ლიტერატურა

- Liao M., How to Improve China's Witness Protection System: an Evaluation on Protection of Witness in the Amendment to the Criminal Procedure Law of China, Frontiers of Law in China, №3, Sep 2012;
- Groom D; Witness, No Case: an Assessment on the Conduct and Quality of ICC Investigations, Penn Journal of Law & International Aff airs, №1, 2014;
- Reno J; Eyewitness Evidence A Guide for Law Enforcement; U.S Departament of Justice, office ce of Justice programs, Research report;
- Federal ruless of Criminal procedure (1946) amended to Dec.2015, rule N6
- Madeleine Colvin Jonathan Cooper, Human Rights in the Investigation and Prosecution of Crime, Oxford, 2009; 179.
- Carlson, R.L. and M.S. Voelpel (1980). "Material Witness and Material Injustise". Washington University Law Quarterly
- Leo; R. (2004). "The Third Degree and Origins of Psychological Interrogation in the United States". Interrogation,Confessions, and Entrapment.
- Faifax Jr, (2010). "Grand Jury Innovation: Toward a Functional Makeover of the Ancient Bulwark of Liberty". William & Mary Bill of Rights
- Giannoulopoulos, D. (2013). "Custodial Legal Assistance and Notification of ther right to silence in France: Legal Cosmopolitanism and Local Resistance". "Criminal Law Forum"
- Kostovsky v. Niderlande, A,serie, N166; Windish Austrria v, Serie A, N186; Esser, R. auf dem Weg zu einem Europaischen